

## მაკბეტი

ინგლისურიდა თარგმნა ივანე მაჩაბელმა

მოქმედნი პირნი:

დუნკანი, მეფე შოტლანდიისა

მალკოლმი, დონალბენი - დუნკანის ვაჟიშვილნი

მაკბეტი, ბანქო - დუნკანის სარდალნი

მაკდუფი, ლენოქსი, როსი, მენტეთი, ანგუსი, კათნესი - შოტლანდიის დიდებულნი

ფლეანსი, ბანქოს ვაჟიშვილი

სივარდი, ნორთუმბერლანდის გრაფი და ინგლისის ჯარის სარდალი

ახალგაზრდა სივარდი, ამისი ვაჟიშვილი

სეიტონი, მაკბეტის ამალის ოფიცერი

პატარა ბავშვი, მაკდუფის ვაჟიშვილი

ინგლისელი ექიმი

შოტლანდიელი ექიმი

სერჟანტი

მეკარე

ბერიკაცი

ლედი მაკბეტი, ცოლი მაკბეტისა

ლედი მაკდუფი, ცოლი მაკდუფისა

ლედი მაკბეტის მხლებელი ქალი

ჰეკათა

სამი კუდიანი

მოჩვენებანი

დიდებულნი, აზნაურნი, ოფიცრები, ჯარისკაცნი, კაცისმკვლელნი, ამალა და შიკრიკნი

## მაკბეტი

მეოთხე მოქმედების ბოლო სწარმოებს ინგლისს, დანარჩენი ამ მოქმედებისა და სხვა მოქმედებანი შოტლანდიაში.

მოქმედება პირველი

სურათი I

ტრიალი მინდორი

(ჰქუხს და ელავს. შემოდის სამი კუდიანი)

პირველი კუდიანი: კვლავ როდის შევხვდეთ ჩვენ ერთმანეთსო,

როს იწვიმებს, თუ იქუხ-იჭექსო?

მეორე კუდიანი: არეულობა როცა დაცხრება

და გამარჯვება ერთ-ერთს დარჩება.

მესამე კუდიანი: ეგ ხომ მზის ჩასვლის წინად მოხდება.

პირველი კუდიანი: ალაგს რას ვნიშნავთ?

მეორე კუდიანი: დიდ ტრიალ მინდორს.

მესამე კუდიანი: მაკბეტს შევხვდებით სწორედ იქ იმ დროს.

პირველი კუდიანი: ციცუნი, ახლავ შენთან გავჩნდები.

მეორე კუდიანი: ჯოჯოვ, მეც მანდვე დავიბადები.

ყველანი: მზეა თუ ჩრდილი, დარობს, თუ არა, -

ნისლს, მყრალ ჰაერში გავფრინდეთ ჩქარა.

(გადიან)

## სურათი II

ბანაკი ფორესის ახლო

(გარედან ხმაურობა მოისმის. შემოდინ დუნკანი, მალკოლმი, დონალბენი, ლენოქსი და მხლებელი.

მათ წინ შემოხვდებათ დაჭრილი ჯარისკაცი)

დუნკანი: ვინ არის ესა სისხლიანი? როგორც ეტყობა,

უნდა გვიამბოს ამბოხების ამბავი რამე.

მალკოლმი: ეგ ჯარისკაცი იგი გახლავთ, რომელიც მარჯვედ

და მხნედ იბრძოდა, რომ დავეხსნე მტრის ხელისაგან. -

მამაცო გმირო, მოახსენე, აბა, ხელმწიფეს,

აქ რომ წამოხველ, ომის ბედი თუ ვისკენ იყო?

ჯარისკაცი: საექვოდ იყო ბრძოლა ჯერედ. ის ჰგავდა სწორედ

ორის მამგრალის მცურავისა მედგარს ცილობას.

მართლაც მაკდონალდს, ურჩ მუხანათს, ამ სახელის ღირსს,

რადგან ბუნებას აუვსია იგი ყოველგვარ

ბოროტებითა, მოეშველა ირლანდიიდან

ქვეითი ჯარი, შეჭურვილი თავით ფეხამდე.

მის წყეულ საქმეს გაუღიმა ჯერ ბედ-იღბალმა,

თითქო საყვარლად დასჯდომოდეს მემამოხესა.

მაგრამ ამო იყო ყველა, რადგან მაკბეტი,

მამაცო მამაცი... ეს წოდება ეკუთვნის კიდევ...

არ შეეპოა ბედისწერას და ხელში ხმლითა,

რომელს ჯერ კიდევ ასდიოდა კვამლი სისხლისა,

თითქო არშიყმა გმირობისამ გზა გაიკაფა

და შეეყარა პირის-პირად უღირსსა მონას.

არც ხელი მისცა, არც უსურვა მშვიდობით ყოფნა,

ვიდრე შუაზედ არ გაუპო კეფა ყბებამდე,

და არ დაარჭო ციხის წვერზედ იმისი თავი.

დუნკანი: ვაქებ ნათესავს ჩემსას ერთგულს და ღირსს დიდებულს!

ჯარისკაცი: მაგრამ იქიდან, სად მზის სხივნი აღმოაშუქვენ,

ხშირად ატყდება ქარიშხალი გემთა მღუპავი

და საზარელი ჭექა-ქუხვა, იმისვე მსგავსად

ნუგეშის ბუდეშ წარმოშობა ახალი შიში.

ყური მოაპყარ, ოჰ, ხელმწიფეშ შოტლანდიისავ!

როს სამართალმა და სიმტკიცემ ხელიხელ გაყრილთ  
მტრის ჯარს შიშითა ძლეულს კუდით ქვა ასროლინეს,

ამ დროს თვით მეფე ნორვეგიელთ გამოჩნდა უცებ

ახალის ჯარით, ახლად ლესილ იარაღითა

და ჩვენსა ლაშქარს ომით მაშვრალს შემოუტია.

დუნკანი: არ შეაშინა მაგ ამბავმა ჩვენნი სარდალნი,

მაკბეტ და ბანქო?

ჯარისკაცი: შეაშინა და მერე როგორ!..

როგორც ჭივჭავნი აშინებენ ცაში არწივსა,

ან კურდღელი ლომს. რაკი მკითხავთ, მეც მოგახსენებთ:

ჰგავდნენ ზარბაზანს ორის სროლით ერთად გატენილს

და ერთი ორად მიაყენეს მტერს რისხვის ზარი.

არ ვიცი, სწადდათ, იმის სისხლში განზანილიყვნენ,

თუ სამახსოვროდ აღედგინათ კვალად გოლგოთა...

მე აღარ ძალმიძს ლაპარაკი, ჭრილობა მტანჯავს...

დუნკანი: სიტყვებიც ისე გშვენის, როგორც დაკოდილობა,

ორივ გიმტკიცებს ვაჟკაცობას. - წადით, ექიმებს

მოავლეინეთ (ჯარისკაცი გაჰყავთ). ეს ვინ მოდის?

მალკოლმი: ეს გახლავთ ღირსი თენი როსისა.

ლენოქსი: ეტყობა, რომ რაღაც აწუხებს

და საჭირო რამ ამბავი აქვს გადმოსაცემი.

(შემოდის როსი)

როსი: ადიდოს ღმერთმა მეფე ჩვენი!

დუნკანი: საიდგან მოხვალ, ძვირფასო თენო?

როსი: ფაიფიდან, დიდო ხელმწიფე.

ნორვეგთ დროშებმა იქ ზეცაც კი არად ჩააგდეს

და მათმა რხევამ ჟრუანტელი მოჰგვარა ჩვენს ჯარს.

თვით ნორვეგთ მეფემ აურიცხველ ჯარით მოსულმა

ასტეხა ომი საშინელი; დამხმარედ ჰყავდა

იგი ურჯულო მოღალატე კავდორის თენი.

მაგრამ მას შეხვდა ბედზედ მაკბეტ ხელჩართულ ომში

და შეუტია საგანგებოდ ჯაჭვშემოსილმა.

შუბით შუბს მისწვდა, მკლავით მკლავსა და ურჩი იგი

დაიმორჩილა. გამარჯვება ბოლოს ჩვენ დაგვრჩა.

დუნკანი: მადლობა ღმერთსა!

როსი: ახლა სვენო, ნორვეგთა მეფე, გვთხოვს შერიგებას.

ჩვენ არ ვქენით და არც დავთანხმდით,

რომ დახოცილნი დაემარხა, ვიდრე სენკოლმში

ათი ათასი დოლარი ხელთ არ ჩაგვაბარა.

დუნკანი: მამ დღეის იქით კავდორთ თენი ვედარ გვიმუხთლებს,

ვერ გვიორგულებს, - წადი, უთხარ, გამოაცხადონ,  
რომ ის სიკვდილით დაისჯება.  
მის ხარისხი კი მაკბეტს ებოძოს.  
როსი: გაიხლებით აღსასრულებლად.  
დუნკანი: რაიც დაჰკარგა კავდორმა, ის მხნე მაკბეტს ერგოს.  
(გადიან)

### სურათი III

უდაბური მინდორი

(ჰქუხს და ელავს. შემოდის სამი კუდიანი)

პირველი კუდიანი: სად იყავ, დაო?

მეორე კუდიანი: ღორსა ვკლავდი.

მესამე კუდიანი: შენ სადღა იყავ?

პირველი კუდიანი: ერთ ნავოსანის ცოლს კალთაში წაბლი ეყარა

და ხარბად სჭამდა. მე ვთხოვე და არ მითავაზა

იმ უნამუსო გომბიომა, მძოვრიჭამიამ.

აღეპოს მიდის იმის ქმარი და გემს უფროსობს,

მაგრამ მე ახლავ ცხრილში ჩავჯდები,

უკუდო თავგსა დავემსგავსები,

დავტრიალდები და გავფრინდები.

მეორე კუდიანი: ერთ ქარს მე მოგცემ.

პირველი კუდიანი: რადა სწუხდები.

მესამე კუდიანი: მეორე ქარს მე.

პირველი კუდიანი: მე თვით მაქვს სხვები.

ვიცი, ის ქარნი სადაცა ჰქრიან,

ან ნაოსანნი სადაც დადიან;

რუკა ხელთა მაქვს, ვაჩვენებ სეირს,

არას დავაყრი მე იმას ხეირს:

გავახმობ, გავფშეკ ფეხით და თავით

და მილს არ მოვგვრი არც დლით, არც ღამით.

ხალხში გამოვწყვეტ, არ მოვასვენებ,

ცხრაჯერ ცხრა კვირა ვტანჯავ, ვაწვალე.

არ დავუღუპო გემი იქნება,

მაგრამ ქარიშხალს ვერ გადურჩება.

მიყურე, რა მაქვს!

მეორე კუდიანი: რაა, მაჩვენე.

პირველი კუდიანი: აჰაა, ნახე და მოისვენე.

ერთის მესაჭის ცერია ესა,

ზღვაში რომ ჩაკვდა და ჩაითესა,

შინ მოსვლის ნაცვლად დახვდა ეს ბედი.

(გარედან მოისმის დაფდაფის ხმა)

მესამე კუდიანი: დაფდაფის ხმაა - მოდის მაკბეტი!

ყველანი: ხელი ხელს მივცეთ, გრძნეულო დებო,

ზღვისა და ხმელის ფეხქვეშ მომდებო.  
ფერხულს ჩავებათ, დავპროწიალდეთ,  
სამჯერ თითოსთვის შემოვტრიალდეთ  
და სამჯერ სამი ხომ ცხრა იქნება...

სსუ!.. მოვიმწყვდიეთ შუაში გრძნება.

(შემოდინან მაკბეტი, ბანქო; ჯარისკაცნი ცოტა  
მოშორებით დადგებიან)

მაკბეტი: ასეთ მზიან ჩრდილს, ავდრიან დარს ჩემს სიცოცხლეში  
არ მოვსწრებივარ.

ბანქო: ფორესიდან შორსა ვართ ახლა? -

ეს ვინ არიან სახემჭკნარნი და შესაზარნი?

მორთულობითა არა ჰგვანან მიწაზედ მცხოვრებთ,  
და მიწაზედ კი ვხედავ მე მათ. - სულდგმულნი ხართ თქვენ,  
ან შესაძლოა, გკითხოთ რამე ადამიანმა?

გატყობთ, რომ გესმით, რასაც ვამბობ, რადგან სამნივე  
დაკოჟიჟებულ თითებს იღებთ მაგ თხელ ტუჩებზედ.

დედაკაცები უნდა იყოს, მაგრამ ეგ წვერი  
თითქო სხვას მოწმობს.

მაკბეტი: სთქვით, თუ ძალგიძთ, ვინ, ანუ რა ხართ?

პირველი კუდიანი: გამარჯვება შენ, მაკბეტ, თენო გლემისისაო!

მეორე კუდიანი: გამარჯვება შენ, მაკბეტ, თენო კავდორისაო!

მესამე კუდიანი: გამარჯვება შენ, მაკბეტ, რომელს მეფობა გელის!

ბანქო: რა მოგდის, მაკბეტ, რად კანკალებ, ან ამ საამო  
სიტყვებს რად უფრთხი? - და თქვენ კია ჭეშმარიტებას  
გაფიცებთ, სწორედ გვაცნობოთ ჩვენ, არ დაგვიმალოთ, -  
მოგვეჩვენენით, თუ არსნი ხართ სხეულშესხმულნი?

ჩემს კეთილშობილ თანამგზავრსა თქვენ მიულოცეთ  
იგი ღირსება, რაც ახლა აქვს და თან აღუთქვით  
იმედი ისეთ ხელმწიფურის დიდის დიდების,  
რომ აღტაცებამ აიტანა. მე არას მეტყვით?

თუ შეგიძლიანთ დრო და ჟამის თესლში ჩახედვა  
და იმისი თქმა, თუ რომელი აღორძინდება,

რომელი არა, მითხარით მაშ მეც ყველაფერი, -  
არც წყალობას გთხოვთ, არც მეშინის თქვენის მტრობისა.

პირველი კუდიანი: შენც გამარჯვება!

მეორე კუდიანი: გამარჯვება!

მესამე კუდიანი: გამარჯვება შენც!

პირველი კუდიანი: მაკბეტზედ მცირე და იმაზედ უდიადესო!

მეორე კუდიანი: არა იმისებრ ბედნიერო, მაგრამ მრავალჯერ  
უფრო ბედნიერ!

მესამე კუდიანი: შენ თვით მეფედ თუმც არ იქნები,  
მაგრამ კი შეჰქმნი მეფეთა შტოს. მაშ გამარჯვება

მაკბეტს და ბანქოს!

პირველი კუდიანი: გამარჯვება ბანქოს და მაკბეტს!

მაკბეტი: აქ შეიცადეთ, სიტყვაძვირნო, ყველა მაუწყეთ:

რაც მამაჩემი სინელ მოკვდა, მე გლემისი ვარ,

მაგრამ კავდორი რად ვიქნები! კავდორის თენი

მთლად და უვნებლად სცხოვრობს დღესაც. მეფედ ყოფნა ხომ

ჭკვაშიც არ არის მოსასვლელი, ისე ვით შოვნა

კავდორთ თენობის. მითხარით მე, სიდან შეიტყეთ

თქვენ უცნაური ეგ ამბავი, ან ამ უდაბურს

ტრიალ მინდორში გზაზედ რისთვის გადაგველობეთ

და გულთმისნობას თავს დებულობთ? სთქვით, გეუბნებით.

(კუდიანები გაჰქრებიან)

ბანქო: მიწაც წყალივით ზოგჯერ ბუმტებს აისვრის ხოლმე

და ესეც ბუმტნი უნდა იყვნენ. ნეტა სად გაჰქრნენ?

მაკბეტი: მაღლა ჰაერში. თუმცა სხეულთ ჰგავდნენ, მაგრამ კი

გადნენ უჩინრად, ქარს მიეცნენ სუნთქვისა მსგავსად.

ოჰ, ნეტა კიდევ პატარა ხანს დარჩენილიყვნენ!

ბანქო: იყვნენ კი მართლა, თუ ბალახის მავნე რამ ძირი

ვჭამეთ და იმან დაგვიტყვევა გრძნობა-გონება?

მაკბეტი: მეფობა ელით შენთა შვილთა.

ბანქო: და შენ კი თვითონ იქნები მეფე.

მაკბეტი: და კავდორის თენიცა, არა? ასე არა სთქვა?

ბანქო: სწორედ ეგრე... მაგ სიტყვებითა

და მაგ კილოთი. - ეს ვინ მოდის?

(შემოდინან როსი და ანგუსი)

როსი: მაკბეტ, ხელმწიფემ სიამოვნებით მოისმინა ამბავი შენის

გამარჯვებისა და როდესაც ის კითხულობდა,

თუ ვით ვაჟკაცებრ და გულადად დაუხვდი ამბოხს,

თან გაოცებამ აიტანა და თან სურვილმა

შენის ქებისამ. ვიდრე ის დღე დაღამდებოდა,

კვლავ მოვიდა ხმა, რომ შენ ებრძვი ძლიერთა ნორვეგთ

და შეუპოვრად ზედ ესევი სიკვდილის ლანდთა

თვითონ შენგანვე გამოწვეულთ. სეტყვისა მსგავსად

შიკრიკი მოჰყვა შიკრიკს იმის მოსახსენებლად,

თუ ვით იცავდი შენის მკერდით იმის სამეფოს.

ანგუსი: ჩვენ გამოგვზავნა მხოლოდ მისთვის, რომ მაღლი გიძღვნათ

დიდებულ მეფის სახელით და მასთან წაგიძღვეთ.

გადახდა არ გვაქვს მონდობილი.

როსი: მე კი მიბრძანა,

რომ უფრო დიდის დიდების ბედ მოგიძღვნა ახლა

კავდორთ თენობა და ამ ხარისხს, რაიც დღეიდან

ღირსად გეკუთვნის, აწ გილოცავ.

ბანქო (იქით) : რა მეყურება! ეშმაკს მართალი უთქვამს თურმე.  
მაკბეტი: კავდორის თენი ჯერ ცოცხალია, - წელს რად მასხამთ სხვის წამოსასხამს?  
ანგუსი: ცოცხალი არის ის, ვინც იყო კავდორის თენი,  
მაგრამ დიადი სასჯელი სძევს და აღარ არის  
იგი ცოცხლებში ჩასაგდები. სწორედ არ ვიცი,  
ცხადად მიემხრო ნორვეგთა ჯარს, თუ საიდუმლოდ  
ეხმარებოდა მეამბოხეთ, თუ ორივე გზით  
ცდილობდა თავის ქვეყნის ვნებას, მხოლოდ ეს კია,  
რომ მას ღალატი გამოაჩნდა, თვითვე გამოტყდა  
და დასჯა ელის სიკვდილითა ამ ღალატისთვის.  
მაკბეტი (იქით) : გლემისიცი ვარ და კავდორიც! ერთიღა დარჩა  
უმწვერვალესი. - (როსს და ანგუსს) გმადლობთ დიდად  
გარჯილობისთვის.  
(ჩუმად ბანქოს) შენ არ იმედობ გამეფებას შენთა ძეთათვის,  
რაკი სწორედ ეს აღვითქვეს შენ იმათ, რომელთაც  
კავდორის თენი გამხადეს მე?  
ბანქო (ჩუმად მაკბეტს): ყველას რომ ეგრე  
დავიჯერებდეთ, მაშინ კავდორთ თენობის გარდა,  
თავზედ გვირგვინის დადგმას უნდა იმედოვნებდე.  
მაგრამ ეს ხშირად მოხდება, რომ ჩვენს დასაღუპად  
მართლით გვიხვევენ თვალს ქვესკნელით წარმოგზავნილნი  
და რა გვაცდენენ უბრალო რამ ახდენილ ამბით,  
მასუკან გვეყრიან ღრმა უფსკრულსა. - მე, ბატონებო,  
თქვენთან ერთი რამ მაქვს სათქმელი.  
მაკბეტი (იქით): ორი ამბავი ხომ მართალი სთქვეს.  
წინასწარი კარგად დაიწყო  
და წინასწარმა უნდა შობოს დიადი საქმე,  
ვით დედამ შვილი. - ბატონებო, გმადლობთ მე დიდად. -  
(იქით) ამ წაქეზებას ზესთბუნებით წარმოგზავნილსა  
არც ავი ეთქმის და არც კარგი. თუ ავი იყოს,  
რად აღმომცემდა ამ იმედსა აღსრულებისას,  
რად ახდებოდა მათ ნათქვამი? მართლაც მე დღეს ვარ  
კავდორის თენი. და თუ კარგი ეთქმოდეს, მაშ მე  
რად დამიმონა ფიქრმა, რომლის საზარო სახე  
ყალყზედ მიყენებს შიშით თმას და ნეკნებზედ მიხლის  
ბუნების კანონთ წინააღმდეგ უმისოდ წყნარ გულს?!  
ნამდვილი შიში არ ყოფილა ისე საზარო,  
ვით შიშის ლანდი. თუმც ჩემს ჭკვაში კაცისკვლის ფიქრმა  
მსწრაფლ ელვასავით გამირბინა, მაგრამ ეს აზრი  
ისე აშფოთებს ჩემს უბრალო აგებულებას,  
რომ წინდაწინვე უსპობს ძალსა მოქმედებისას  
და შებოჭვილი ვყავარ სრულად ოცნებათა გუნდს.

ბანქო: ჰხედავთ ამხანაგს ჩვენსას რარიგ ღრმა ფიქრებშია!

მაკბეტი (იქით): თუ ბედს მეფობა უნდა ჩემთვის, განა არ ძალუმს, თავზედ გვირგვინი დამადგას ჩემ დაუკითხავად!

ბანქო: ახალ ღირსებას ვერა შნობს, ტანისამოსიც როს ახალია, ტანზედ კარგად არ გაგვეწყვება.

მაკბეტი (იქით): რაც იქმნას, იქმნეს! დრო და ჟამი თავისას ჩადის, ავი დღე იყოს, თუნდა კარგი.

ბანქო: ბატონო მაკბეტ, ჩვენ შენლა გელით.

მაკბეტი: მომიტევეთ, ფიქრებში ვიყავ და ვიგონებდი დავიწყებულს ამბებსა რასმე.

ბატონო ჩემო, აქ ჩავიბეჭდ თქვენს დავალებას და წავიკითხავ მე ყოველდღე თითო ფურცლობით. -

დროა, ვიახლოთ ახლა მეფეს. (ბანქოს ჩუმიად) კარგად იფიქრე მასზედ, რაც მოხდა; ყოველივე ასწონ-დასწონე

და როდესაც დროს ხელთ მოვიგდებთ, ერთმანეთს ვუთხრათ გულგაშლით ყველა.

ბანქო (ჩუმიად მაკბეტს): ეგრე იყოს.

მაკბეტი (ჩუმიად ბანქოს): იმ ვადამდე კი სჯობს, ჩუმიად ვიყოთ. - ბატონებო, აბა, წავიდეთ!

(გადიან)

#### სურათი IV

ფორესი. ოთახი სასახლეში

(საყვირის ხმა ისმის. შემოდიან დუნკანი, მალკოლმი, დონალბენი, ლენოქსი და მხლებელნი)

დუნკანი: ჯერ არ აღსრულდა კავდორთ თენზედ მართლმსაჯულება და არ დაბრუნდნენ, ვისაც დასჯა მინდობილ ჰქონდათ?

მალკოლმი: ჩემო ხელმწიფევ, ჯერ ისინი არა გხლებიან,

მაგრამ მე შევხვდი ერთს, რომელიც იქ დასწრებია

მის სიკვდილის ჟამს. მან მიაშო, თუ თენმა როგორ

თავის ღალატი აღიარა გულის სიწრფელით,

გთხოვათ მეფურად მიტევება და შეინანა

ყოველი თვისი შეცოდება. მის სიცოცხლეში

თურმე არარა მოხდომია მას ისე, როგორც

ამ სიცოცხლესთან განშორება. იგი მომკვდარა,

თითქო გაწვრთნილი ყოფილიყოს ამ ხელობაში

და დაუთმია მას ეს ნიჭი უძვირფასესი,

როგორც უბრალო, უმნიშვნელო საგანი რამე.

დუნკანი: არ არის ხერხი იმისთანა, რომ კაცს შეეძლოს

სულის თვისების ამოკითხვა პირისახეზედ:

უზომ-უსაზღვროდ ვენდობოდი მე იმ დიდებულს. -

(შემოდიან მაკბეტი, ბანქო, როსი და ანგუსი)

ოჰ, ღირსეულო ნათესავო! ეს არის ახლა



უმადურობის სიმძიმესა ვგრძნობდი შენდამი.  
შენ ისე რიგად მიისწრაფი, რომ ვერ გეწევა  
სურვილი მაღლის გარდახდისა თვით ფრთაშესხმული.  
რატომ ნაკლები არ მიგიძღვის ეგ სამსახური,  
რომ შევუწონო ანუ მაღლი და ანუ ჯილდო.  
მე ესლა მეთქმის, - ვერ გადვიხდი ვეროდეს შენს ღვაწლს.  
მაკბეტი: ერთგულება და სამსახური ჩემი თქვენდამი  
როს თავს იჩენენ, თავისშივე ჰპოვებენ ჯილდოს.  
თქვენ მოგენიჭათ ჩვენის ქვეყნის პატრონად ყოფნა  
და ჩვენ ვალად გვძევს მორჩილ ვექმნეთ თქვენს  
ტახტს და გვირგვინს;  
და ვით შვილთ, ანუ მსახურთ ჰფერობს,  
ვცდილობდეთ მხოლოდ,  
რომ ბედნიერად და დიდებით იმყოფებოდეთ.  
დუნკანი: კეთილი იყოს შენი მოსვლა. ისე მოგივლი,  
როგორც ჩემგანვე დარგულ ნერგს და გაგაძლიერებ. -  
ერთგულო ბანქო, სამსახური არა ნაკლები  
მიგიძღვის შენცა და ღირსი ხარ მაგავ მაღლობის.  
მოდით აქ, ტკბილად მოგეხვიო, გულზედ მიგიკრა.  
ბანქო: თუ მე თქვენს გულში ადგილს ვპოვებ და აღვიზრდები,  
ნაყოფი თქვენივ უნდა იყოს.  
დუნკანი: ველარ თავსდება  
აქ სიხარული მრავალკეცი და რა გადმოდულს,  
ცდილობს, რომ თავი მწუხარების ცრემლში იმალოს. -  
თქვენ, შვილნო ჩემნო, ნათესავნო და დიდებულნო;  
თქვენც, ვინც ჩემს ტახტთან ახლონი ხართ, უნდა იცოდეთ,  
რომ ჩვენს სამეფოს ვუანდერძებთ უფროსს ძეს მალკოლმს  
და მას დღეიდან კუმბერლანდის პრინცობას ვაძლევთ.  
ამგვარსა ხარისხს არ ვაკუთვნებთ მხოლოდ მარტო მას  
და ყოველს თქვენგანს, ვინც ღირსია, დიდების სხივი  
მოეფინება, როგორც ცათა ვარსკვლავთ სიმრავლე. - (მაკბეტს)  
წავიდეთ, მაკბეტ, ჩვენ ინვერნესს და იქ, შენს ჭერქვეშ,  
უფრო სიმტკიცით დავკავშირდეთ.  
მაკბეტი: როცა არ ვიღვწი,  
ხელმწიფევ, თქვენდა სამსახურად, ჩემთვის იგი დრო  
ტანჯვაა მხოლოდ. ჩემ სახლში ჯერ მე გიახლებით  
და წინვე თქვენის მობრძანების ამბით ვახარებ  
ჩემის მეუღლის ყურთა სმენას. გთხოვთ წასვლის ნებას.  
დუნკანი: ნება შენია, კავდორთ თენო.  
მაკბეტი: (იქით) იგი პრინცია კუმბერლანდისა.  
ეს ხარისხი გზას გამეხიდა  
და ან ზედ უნდა გადავახტე, ან დავილუპო!

ზევის ვარსკვლავნო, სხივოსნობა თქვენი მიმალეთ,  
რომ ჩემს ბნელ სურვილს ეგ სინათლე არ მოეფინოს!  
დავხუჭავ თვალთა, რომ ეს ხელი ვერ დაინახონ,  
თუმც დეე მოხდეს, რის ნახვისაც თვალთ ეშინიანთ.

(გადის)

დუნკანი (ბანქოს): შენ მართალს ამბობ, მაკბეტ მამაცთ მამაცი არის  
და მისი ქება მე მახარებს და მასაზრდოებს,  
თითქო ნადიმად ვიყო სადმე. წავყვეთ ჩვენც იმას,  
იგი წინდაწინ გაეშურა მისაგებებლად.  
მაგ ჩემს ნათესავს თვის ბადალი არავინა ჰყავს.  
(საყვირის ხმა. გადიან)

სურათი V

ინვერნესი. ოთახი მაკბეტის ციხე-დარბაზში

(შემოდის ლედი მაკბეტი წერილის კითხვით)

ლედი მაკბეტი: “მე ისინი სწორედ გამარჯვების დღეს შემხვდნენ და სრულიად  
დავრწმუნდი, რომ თავიანთ ცოდ-ნით ადამიანებს ბევრად მეტობენ. მე მწვავდა  
სურვილი მეტის გამოკითხვისა, მაგრამ ჰაერად იქცნენ და შიგ-ვე გაჰქრენ, ჯერ კიდევ ამ  
ამბით გაოცებული ვიყავ, რომ ხელმწიფის დესპანნი მოვიდნენ და მომილოცეს  
კავდორთ თენობა. სწორედ ეს ხარისხი წინად იმ გულთმისანმა დებმა მაკუთვნეს და  
ისიც მითხრეს, მომა-ვალში მეფობა გელისო. მე საჭიროდ ვცან, ეს მეცნობა შენთვის, ჩემო  
ძვირფასო მოწილევ დიდებისავ, რომ არ მოგაკლდეს შენი ხვედრი სიხარული და იცოდე,  
თუ რა ძლიერი სახელი მოგელის მომავალში. ეს გულ-ში ჩაიმარხე და იყავ მშვიდობით”.

გლემისიცა ხარ და კავდორიც, დანარჩენიც ხომ  
უნდა შესრულდეს უცილობლად. მაგრამ მეშინის

შენის კეთილის ბუნებისა, რაიც თითქო რძით

გაჟღენთილია და ვაი თუ გზას აუქციოს:

სახელოვანი გწადის იყო, თავმოყვარებაც

საკმარისი გაქვს, მაგრამ გინდა, რომ ამ დიდებას

პატიოსნებით მიაღწიო. გინდა მოიგო

და ვერც კი ყალბობ. დიდო გლემის, შენ უნდა მუდმივ

ეგ საწადელი ყურში ამას ჩაგჩინებდეს:

“ჰქმენ და ხელთ მიგდე!” რომ სურვილსა ასრულებისას

საქმის წინ შიშმა არ დასძლიოს. მაშ მოეშურე,

რომ ჩაგაწვეთო ჩემის სულის ძალა მაგ ყურში.

მე მხნედ შევბაწრავ ჩემის ენით ყოველს მას, რაც კი

გიშლის მიღწევას იმ ბრწყინვალე შარავანდედთან,

რომლისაც დადგმა შენ აღვითქვეს შენმა იღბალმა

და ზესთბუნებით მოგზავნილ ძალთ. -

(შემოდის ერთი მხლებელი)

რა ამბავია?

მხლებელი: ბატონო, მეფე მობრძანდება ამაღამ აქა.  
ლედი მაკბეტი: ხომ არ გაგიჟდი! აქ არ არის შენი ბატონი  
და რომ მართალი ყოფილიყო, რასაც შენ ამბობ,  
არ გვაცნობებდა, რომ ჯეროვნად მიგველო იგი?!

მხლებელი: მაინც ეგრეა, ქალბატონო; ბატონი თურმე  
აქ მოაშურებს და შიკრიკად წინ უფრენია  
ერთ-ერთი ჩემი ამხანაგი. დაღალულობით  
ძლივს სულს იბრუნებს და ძლივს გვამცნო დაბარებული.  
ლედი მაკბეტი: კარგის ამბების მოციქულად მოუგზავნიათ.  
კარგადაც დახვდით. - (მხლებელი გადის)  
ყორანიც კი გახრინწიანდა,  
როცა დუნკანის საბედშავო მოსვლას ჩემ ჭერქვეშ  
თავს დასჩხავოდა. მოდით სულნო, ბნელ განზრახვათა  
ჩამგონებელნო, განმაშორეთ ეს ჩემი სქესი!  
ამავსეთ მკაცრის ავკაცობით თავით ფეხამდე,  
ეს თხელი სისხლი შემიდედეთ და გზა დაუხშეთ,  
ამოუქოლეთ სინიდისის ტანჯვას და ქენჯნას,  
რომ შენანება ბუნებრივი არ დამიბრუნდეს  
და არ დამიხშოს ეს მძვინვარე ზრახვა და ფიქრი,  
ან აღსრულებას და მათ შორის არ ჩაეკედლოს!  
თქვენ, ხელმძღვანელო კაცის კვლისა, სადაც კი სუფევთ  
და უხილავად ცდილობთ ვნებას ბუნების ძალთა,  
მოდით აქ ჩემთან, ეს ძუძუნი დედაკაცისა,  
რძის სამაგივროდ, გარდაჰქმენით ბალღამის გუბედ!  
შენც, ბნელო ღამეც, მოახლოვდი და ჯოჯოხეთის  
უუმწყვდიადეს შავის კვამლით გარშემოსე,  
რომ ჩემმა ბასრმა დანამ თვითვე ვერ დაინახოს  
თვისი ნაქმნარი და ზეცამაც ვერ გაარღვიოს  
თავის სხივებით ბნელი ფარდა და ხმა არ მოსცეს:  
“დადეგ, გაჩერდი!” - (შემოდის მაკბეტი)  
დიდო გლემის, ღირსო კავდორო!  
ყოველ ამაზედ ბედისწერით კვლავ უმაღლესო.  
შენმა წერილმა განმაშორა ამ ფუჭ აწმყოსა  
და მომავალით ვსულდგმულობდა და ვიმედოვნებ.  
მაკბეტი: დუნკანი მოვა აქ ამაღამ, სულზედ უტკბესო.  
ლედი მაკბეტი: და როდის წავა?  
მაკბეტი: ხვალე, ჰფიქრობს, ვგონებ, წასვლასა.  
ლედი მაკბეტი: არა, ეგ “ხვალე” იმას აღარ გაუთენდება. -  
შენ წიგნს მიგიგავს პირისახე და ადვილია  
უცნობ ამბავთა ამოკითხვა. თუკი გწადიან,  
რომ ყველას თვალნი აუხვიო, ნუ გამოარჩევ  
შენს სახეს მათგან; თვალით, ხელით და სიტყვიერად

ეცადე ტკბილად იქცეოდე. შენ დაემსგავსე  
უმანკო ყვავილს, რომლის ქვეშაც გველნი ბუდობენ.  
წადი და მომსვლელს მიეგებე; მე კი მომანდე  
ამალამდელი დიდი საქმე შესასრულებლად.  
ამ ღამემ უნდა მიანიჭოს დიდებული სვე  
და ხელმწიფება მომავალთ ჩვენთ დღეთა და ღამეთ.  
მაკბეტი: ეგ ლაპარაკი მერე იყოს.

ლედი მაკბეტი: მხოლოდ ეცადე  
არ შეიშალო სახეზედა, - ეგ ლაჩრობაა,  
დანარჩენი კი ყოველივე მე დამანებე.  
(გადიან)

სურათი VI

იგივე ადგილი. მაკბეტის ციხე-დარბაზის კარმიდამო  
(სალამურის ხმა. მაკბეტის მხლებელნი ხელში მაშხალეებით სტუმრებს ელიან. შემოდინ  
დუნკანი, მალკოლმი, დო-ნალბენი, ბანქო, ლენოქსი, მაკდუფი, როსი, ანგუსი და  
მხლებელნი)

დუნკანი: ამ ციხე-დარბაზს აქვს საამო მდებარეობა  
და თვით ჰაერიც ნაზია და სასიამოვნო.

ბანქო: და ეს ზაფხულის თანამდევნი ნამგალა ჩიტი,  
ძველის ტაძრების მეგობარი, მასვე ამტკიცებს:  
რაკი აქ ბუდობს, ეტყობა რომ ცაც ტკბილად სუნთქავს.  
მართლაც, სადაც კი ქვაა სადმე წამოშვერილი,  
კედლის გრეხილი, სვეტის ბოლო, ან მარჯვე კუთხე,  
მაგას თავისი ბუდე ყველგან დაუკიდნია  
და ბარტყებსა ზრდის. წელანაც ვთქვი, სადაც ეგენი  
მრავლად ბუდობენ, იქ ჰაერი კარგია თურმე.

(შემოდის ლედი მაკბეტი)

დუნკანი: აი, თვით ჩვენი სასურველი მასპინძელიცა!  
ვინც პატივსა გვცემს და ვუყვარვართ, ხშირად გვაწუხებს  
და სიყვარულის ბრალი არის ეს შეწუხება,  
რისთვისაც უნდა შემწუხებელთ მადლს გადვუხდიდეთ.  
ამით მსურს გითხრა, რომ შენს ამგვარ შეწუხებისთვის  
უნდა ღმერთს გულით შეგვავედრო და თან გვმადლობდე.  
ლედი მაკბეტი: ყოველი ჩვენი სამსახური თქვენსა წინაშე,  
თუნდ ერთი ორად, ერთი ოთხად გადაქცეული,  
მეტად მცირეა და ღარიბი მის შედარებით,  
რასაც ჩვენს ოჯახს ღირსებასა, ხარისხს, დიდებას  
ჯილდოდ ანიჭებს უხვად თქვენი დიდებულება.  
თქვენსა უწინდელს ნაბოძებსა აწ ზედ დაურთეთ  
კვლავ სხვა მრავალნი წყალობანი და ჩვენც ვალად გვძევს,  
მლოცველნი ვიყოთ მუდმივ თქვენის დღეგრძელობისთვის.  
დუნკანი: კავდორის თენი სადღა არის? ჩვენ მას მოვდევიდით

ფეხდაფეხ უკან და გვინდოდა აქ დავხვედროდით  
სახლთუხუცესის მაგიერად; მაგრამ ის მარდი  
ცხენოსანია და თან შენის ნახვისა სურვილს  
მის დეზივით მწვავს ჩვენზედ ადრე მოუყვანია.  
შენი სტუმრები ვართ ამაღამ, მშვენიერებით,  
სიკეთით სავსე მასპინძელო.

ლედი მაკბეტი: ჩემო ხელმწიფე!

რაც კი ქონება გააჩნიათ თქვენთა ქვეშევრდომთ,  
თვით თავი თვისი მზა აქვთ თქვენის სამსახურისთვის,  
რადგან ყოველი თქვენგანგვა მონიჭებული.

დუნკანი: ხელი მომეც და წამიყვანე შენს მეუღლესთან  
და ჩემს სასურველ მასპინძელთან. საკვლავიოდაც  
მას უხვს წყალობას არ მოვაკლებთ. აბა, მობრძანდით.  
(გადიან)

## სურათი VII

იგივე ადგილი. დერეფანი მაკბეტის ციხე-დარბაზში  
(სალამურის ხმა ისმის და მსახურნი მამხალეებითა დგანან. სცენაზედ გაივლიან  
მელვინეთუხუცესი და სხვადასხვა მსახურნი საქმელითა და ჭურჭლით ხელში. შემოდის  
მაკბეტი)

მაკბეტი: თუ რაც მოხდება, მოელება მით სრულად ბოლო,  
ნეტა საჩქაროდ მოხდეს ბარემ. თუ რომ კაცისკვლას  
ძალუმს დაჰფაროს, მიაყუჩოს თვისი შედეგი  
და ნაყოფი კი მკვლელს აგემოს... რომ ის ნაკრავი  
იყოს ყოველი, თავიც, ბოლოც, აქა, აქ მაინც,  
ამ სააქაოს, ამ ქვეყანას საფრთხითა სავსეს, -  
მაშინ მეორედ მოსვლას აღარ შევუდრკებოდი.

მაგრამ სამართალს ველით აქაც, და ვინც სხვას ურჩევს  
ავაზაკურის და მოსისხლო საქმის ჩადენას,  
მასვე ის რჩევა სატანჯავად დაუბრუნდება.

მართლმსაჯულებას ჩვენს ტუჩებთან მოაქვს უკანვე  
ფიალა ჩვენგნივ საწამლავით შემზადებული...

ის ერთიორად უშიშარი უნდა იყოს აქ:

ჯერედ ვარ მისი ნათესავი, მის ქვეშევრდომი  
და ეს ძლიერი საბუთია საქმის ჩაშლისთვის;

მასუკან კიდევ მასპინძელი ვარ მე იმისი

და მასპინძელმა უნდა კარი მკვლელს ჩაუკეტოს  
და არა თვითონ ხელთ აიღოს დანა საკლავად.

მერე დუნკანი ისე კარგად, ტკბილად მეფობდა,

ისე გულწმინდად უვლიდა თვის დიადს უფლებას,

რომ მის ღირსება ხმას ჩაუდგამს ანგელოზთ საყვირს

და შეაჩვენებს, სიცოცხლესთან ვინც განაშორებს.

სიბრალოლიც, ვით უსუსური, შიშველი ბავშვი,  
გატაცებული ქარტეხილით; და ანუ როგორც  
ცის ქერუბინი უჩინარად ამხედრებული  
უჩინარადვე ზეცაში მსრბოლ ფიცხელსა რაშზედ,  
ყველას თვალებში შთაჰბერს ამა საზარელ ამბავს  
ისე, რომ თვითონ ქარიშხალიც შთანთქას ცრემლთა ზღვამ!  
არ მაქვს მე დეზი ამ შავ ფიქრთა წასაქეზებლად,  
თავ-მოყვარება მაქვს მე მხოლოდ ისე ზვიადი,  
რომ თვისის თავის შელაგმვასაც ვეღარ ახერხებს. -

(შემოდის ლედი მაკბეტი)

ახალს რას მეტყვი?

ლედი მაკბეტი: ოთახიდან რად გამოხვედი?

საცაა, ვახშამს გაათავებს.

მაკბეტი: მიკითხა მერე?

ლედი მაკბეტი: განა არ იცი, გიკითხავდა.

მაკბეტი: იცი, რა გითხრა.

უნდა დავეხსნათ ჩვენ იმ საქმეს. მე ამ ბოლო დროს  
ისე ამავსო წყალობითა, რომ ხალხის თვალში  
გარშევიმოსე შუქ-ბრწყინვალე შარავანდედი  
და ბრწყინვალედვე მსურს ვატარო,  
არ განვეშორო ასე სასწრაფოდ.

ლედი მაკბეტი: მამ იმედი რომ გვქონდა გულში,  
ნასვამი იყო და უგრძობლად ეძინა დღემდის?  
მერე დღეს მისთვის გაიღვიძა, რომ ფერმიხდილი,  
რასაც თამამად შეჰყურებდა, იმის წინ შეჰკრთეს?!  
დღეიდან აგრე დავაფასებ შენს სიყვარულსაც.  
რად გეშინიან, შენი სიმხნე, გაბედულობა  
შენსა საწადელს შეუფერო? გსურს, გქონდეს იგი,  
რასაც უწოდებ ამ ცხოვრების ძვირფასს საუნჯეს  
და ლაჩრად რჩები შენსავ თვალში. სიტყვას  
“მსურს იგი” თანვე აყოლებ „ვერა ვბედავ“-ს,  
ვით ანდაზაში კატაზედ არის ნაამბობი.

მაკბეტი: ღვთის გულისათვის

ჩუმად იყავი. ყოველივე შემომლიან მე,  
რაც კაცს შეჰფერის; ვინც ამაზედ მეტს მოიქმედებს,  
იმას კაცობა აღარ ეთქმის.

ლედი მაკბეტი: მამ, მითხარ, აბა,

რომელმა მხეცმა ეგ ამბავი გაგამხელინა!

როცა ბედავდი შესრულებას, შენ კაცი იყავ  
და თუ იქმნები მასზედ მეტი, მით უმეტესის  
უფლებით გეთქმის შენ კაცობა. მაშინ ხომ არც დრო  
და არც ადგილი არ შეგვწევდა და შენ კი გწადდა,

ორივ შეგექმნა. ახლა ორივ გაჩნდა თავისით  
და რა შემთხვევა ხელთ გეძლევა, შენ შიშით ჰქრები.  
მე გამიზრდია ბავშვი, ძუძუ მიწოვებია  
და ვიცი, როგორ ტკბილი არის მის სიყვარული,  
მაგრამ როგორც შენ დასდე ფიცი ამ საქმისათვის,  
იმგვარად მე რომ დამეფიცა, მზა ვიყავ მაშინ,  
ამომეგლიჯა ძუძუ იმის ნაზ ღრძილებიდან  
და ვიდრე იგი ღიმილითა შემომცქეროდა,  
ძირს დამენარცხა, კეფით ტვინი გადმომენტხია.  
მაკბეტი: რომ ვერ მოგვიხდეს საქმე მარჯვედ?  
ლედი მაკბეტი: ვერ მოგვიხდესო!  
ჭახრაკი მაგრად მოუჭირე გამბედაობას  
და ყველა კარგად მოგვიხდება. როცა დუნკანი  
ძილს მიეცემა, - და დღევანდელს ძნელსა მგზავრობას,  
უეჭველია, თან მოჰყვება მაგარი ძილი -  
მაშინვე იმის ორს შინაყმას მე გამოვათრობ  
ღვინით და ვაშლის წვენიც ისე, რომ მათი გრძნობა,  
ტვინის დარაჯად წოდებული, ორთქლად გადიქცეს  
და საარაყე ქვაბად მათი გონების ბუდე.  
როცა ისინი ღორებივით ძირს ეყრებიან  
და გალექილნი თავს მისცემენ მკვდრებივით ძილსა,  
მაშინ მე და შენ რას ვერ ვუზამთ უმწეო დუნკანს!  
რას ვერ ვაკისრებთ ღვინისაგან დამბალ დარაჯებს,  
რომელნიც ჩვენის ავკაცობის პასუხისგებას  
მთლად შეიწოვენ.  
მაკბეტი: შენ ვაჟები უნდა შვა მხოლოდ,  
რადგან ბუნება შენი მტკიცე, შეურყეველი,  
თუ არ ვაჟკაცსა, სხვას ვერ შეჰქმნის. როგორა ჰფიქრობ,  
ის ორი ყმა რომ ჩვენ ძილის დროს სისხლში გავთხვაროთ  
და მათ ხანჯლები მოვიხმაროთ, ყველას იმათ არ  
დააბრალებენ?  
ლედი მაკბეტი: ვინ გაჰბედავს სხვარიგად ფიქრსა,  
რაკი ჩვენ მოვრთავთ გლოვა-ტირილს და მწარე მოთქმას  
მის მოკვლის გამო.  
მაკბეტი: გადავწყვიტე და მზადაცა ვარ,  
ამ საზარ საქმეს დავახმარო ყოველი ღონე.  
მოვხიბლოთ ხალხი თვალთმაქცური სათნოებითა.  
ცბიერმა სახემ მალოს ცბიერ გულის პასუხი.  
(გადიან)  
მოქმედება მეორე  
სურათი I  
ინვენრენსი. მაკბეტის ციხე-დარბაზის კარმიდამო

(შემოდის ბანქო, რომელსაც წინ მოუძღვის  
ფლენსი და მსახური მაშხალით ხელში)

ბანქო: ღამისა ახლა რა დრო არის?

ფლენსი: მთვარე ჩავიდა, საათის ხმა კი არ მსმენია.

ბანქო: შუაღამისას ჩადის აწ მთვარე.

ფლენსი: შუაღამე გადასულია, ვგონებ, ბატონო.

ბანქო: აჰა, ჩემი ხმალი შენ გქონდეს. -

ზეცაში ზოგვით იქცევიან და ჩაუქრიათ

ყველა მნათობნი. მაშ წაიღე ეგ სანათურიც: -

ისე მძიმედ ვარ, თითქო ტყვია გულზედ დაესხათ

და ძილით კი არ მეძინება. - მოწყალე ძალნო,

ზეციერნო, დამიხსენით წყეულ ფიქრთაგან,

რომელთაც უხსნის გზას ბუნება მოსვენების დროს. -

მომეც აქ ისევ ჩემი ხმალი. ვინ მოდის ესა?

(შემოდის მაკბეტი და ერთი მხლებელი მაშხალით ხელში)

მაკბეტი: მეგობარი ვარ.

ბანქო: მაკბეტ! ჯერედ არ დაწოლილხარ?

მეფემ კიდევაც მოისვენა. დღეს მეტისმეტად

მხიარულადა ბრძანდებოდა: შენთა მხლებელთა

დიდი წყალობა გაუბოძა და ეს აღმასიც

აჩუქა შენს ცოლს, როგორც თავის გულუხვ მასპინძელს;

მერე უზომოდ კმაყოფილმა განსასვენებლად

ინება წასვლა თვის ოთახში.

მაკბეტი: მზად არ ვიყავით

და ნაკლებობამ დასძლია ჩვენს დახვედრის სურვილს,

თორემ შევძლებდით ღირსეულად გამასპინძლებას.

ბანქო: ყოველისფერი რიგზე იყო. - წუხელ სიზმარში

ის გულთმისანი დები ვნახე. შენ გაგიმართლეს

თავიანთ სიტყვა ცოტათ მაინც.

მაკბეტი: მე ის ამბავი აღარც კი მახსოვს;

მაგრამ თუკი არ დაიზარებ,

როცა მარჯვე დროს ხელთ ჩავიგდებთ, კვლავ გავიხსენოთ

მათთან შეხვედრა და ერთმანეთს მოვესაუბროთ.

ბანქო: როდესაც გნებავს, მე მზადა ვარ.

მაკბეტი: თუ ხელს შემიწყობ,

ჩემს წარმატებას თან მოჰყვება შენი დიდებაც.

ბანქო: მეტისა ძეგნით ნუ დავკარგავ ოღონდ ჩემსასაც,

ნუ შეირყევა გრძნობა ჩემი ქვეშევრდომული,

ნურა ევენება ჩემს სინიდისს და ამ პირობით

არ ვიტყვი უარს.

მაკბეტი: მაშ მშვიდობით.

ბანქო: გმადლობ. მშვიდობას ვნატრობ შენთვისაც.



(გადიან ბანქო და ფლეანსი)

მაკბეტი: მოახსენე, წადი, ქალბატონს,  
ჩემი სასმელი როს მზად იყოს, ზარი ჩამოჰკრას.  
შენც შეგიძლიან დაიძინო. - (მსახური გადის)  
რას ვხედავ ამას?

აგერ ხანჯალი ტარით ჩემკენ გამომეცხადა!  
ხელი მოგავლო, მოდი, ბარემ... თუმც ვერ შეგიპყარ,  
მაგრამ ვხედავ კი... მაშ თვალთათვის გაჩნდი შენ მხოლოდ,  
ოჰ, საბედშავო მოჩვენებავ! იქნება იყო  
ყალბი ქმნილება, აღტყინებულ ტვინის ნაყოფი!  
მაგრამ შენ ისე ცხადლივ ვხედავ, როგორც ამ ხანჯალს,  
რომელსაც ახლა ბუდით ვიღებ. შენ მიჩვენებ გზას,  
რომლის გავლასაც ვაპირობ მე და შენისთანა  
იარალი მჭირს მე სახმარად. ჩემი თვალელები  
ან სამასხაროდ გახდომიან სხვათა გრძნობათა,  
ან მათ უდრიან ყველას ერთად თავიანთ ძალით...  
თვალწინ მიდგახარ და შენს ტარსა და პირზედ ვხედავ  
სისხლის წვეთებსა, რასაც წელან ვერა ვხედავდი. -  
არა, ნამდვილად არ არსებობ და ჩემ თვალთ მხოლოდ  
წინ ელანდება იგი საქმე მოსისხლობისა. -  
ამჟამად ქვეყნის ნახევარზედ ბუნება თითქო  
მიმკვდარებულა და სიზმარნი ბოროტეულნი  
გულით მძინარეთ აწუხებენ. კუდიანეთი  
ახლა უზიდავს მსხვერპლს გაცრეცილს ღმერთსა ჰეკათას;  
გაშეშებული სიკვდილიცა, ვით მოჩვენება,  
უცხად დამფრთხალი თვის დარაჯის მგელის ყმუილზედ, -  
და ყმუილი ხომ წაქეზების ხმა არის მისთვის -  
მიიპარება მსგავსად ტარკვინ მტაცებელისა,  
რომ შეისრულოს თვის წადილი. - შენ, დედამიწავ,  
მკვიდრო და მტკიცევე, ჩემს ფეხის ხმას ყურს ნუ დაუგდებ,  
ნურაფერი გრჯის ჩემის გზისა, რომ თვით ქვებმაც კი  
არ გაამხილონ, თუ სად ვიყავ, ან სად მივდივარ,  
და არ მოუსპონ ყრუ სიჩუმე ამ მწყვდიად დრო-ჟამს,  
რაც ისე კარგად მას შეჰფერის... მე მოსაკლავად  
მივდივარ მასთან... ჯერედ იგი ცოცხალი არის.  
სიტყვა აგრილებს თვის სუნთქვით ამ მხურვალე საქმეს...

(ისმის ზარის ხმა)  
წავალ, მოვრჩები... ზარიც მიწვევს... ყურს ნუ დაუგდებ  
შენ ამას, დუნკან, ეგე ზარი გლოვისა არის,  
რაიც შენ გგზავნის ან სამოთხეს, ანუ ჯოჯოხეთს.

(გადის. შემოდის ლედი მაკბეტი)

ლედი მაკბეტი: რამაც ისინი გამოათრო, მე მომიმატა

გაბედულობა; და რამაც მათ შუქი მოუსპო,  
ახალის ცეცხლით ამანთო მე. - სსუ! გაიგონეთ?  
ჭოტი გაჰკვივის! ეს ყვირილი ცუდ ამბავს ნიშნავს  
და საზაროა მის სალამი ამ ბნელ ღამეში. -  
მაკბეტ ასრულებს თავის საქმეს... კარი ღიაა,  
და დამაძლარი დარაჯები თავიანთ ვალსა  
გულიან ხვრინვით დასცინიან. ძილის წამალი  
ჩავყარე ბლომად მათ სასმელში, ასე რომ სიკვდილს  
და ბუნების ძალთ ვედარას გზით ვერ გაუგიათ,  
მკვდარნი არიან, თუ ცოცხალნი.  
მაკბეტი (სცენის გარედან): ვინ არის, ვინა?  
ლედი მაკბეტი: მეტად მეშინის, ხმაურობამ არ დაადვიძოს  
და არ დაბრკოლდეს ამით საქმე. რაკი დავიწყეთ,  
დავიღუპებით, თუ თავს ბოლოც არ მოვადევნეთ. -  
ეს რა ხმა ისმის? - ხანჯლები იქ აკი დავუწყე,  
უნდა ეპოვნა მას უთუოდ. - ძილის დროს იგი  
მამაჩემს რომ არ ჰგვანებოდა, იმ საქმეს მე თვით  
შევასრულებდი. - ჩემი ქმარი! (შემოდის მაკბეტი)  
მაკბეტი: მე გავათავე... არ მოჰკარ ყური რაღაც ხმასა?  
ლედი მაკბეტი: მე ყური მოვკარ ჭოტის ყვირილსა  
და ჭრიჭინას ჭრიჭინსა მხოლოდ. -  
მგონი რაღაც სთქვი.  
მაკბეტი: როდის?  
ლედი მაკბეტი: ახლა.  
მაკბეტი: რომ შემოვდი?  
ლედი მაკბეტი: ჰო.  
მაკბეტი: სსუ! ვინა წევს იმ მეორე გვერდის ოთახში?  
ლედი მაკბეტი: დონალბენი წევს.  
მაკბეტი (ხელებზე დაიხედავს): რა საზარი სანახავია!  
ლედი მაკბეტი: ეგ სულელს ეთქმის, რასაც ამბობ.  
მაკბეტი: ერთმა ძილის დროს გაიცინა და მეორემ კი შეჰყვირა: “მკვლელი!”  
თავიანთვე ხმამ ორნიც უცხად გამოაღვიძა.  
მე გავშემდი და ყურს ვუგდებდი, მაგრამ ილოცეს  
და ისევ ისე დაიძინეს.  
ლედი მაკბეტი: იქ ორნი წვანან ოთახში ერთად.  
მაკბეტი: “შეგვიწყალე ღმერთო!” სთქვა ერთმა;  
მეორემ “ამინ” ზედ დაურთო, თითქო მხედვენო  
მე ამ ჯალათის ხელებითა. სულგანაბული  
იმათ შეკრთომას ყურს ვუგდებდი და ვერ შევიძელ,  
როს შეწყალებას სთხოვდნენ ღმერთსა, “ამინი” მეთქვა.  
ლედი მაკბეტი: კარგი, მაგისტვის ნუ იშფოთებ ტყუილად გულსა.  
მაკბეტი: რატომ ვერ შევძელ ამ სიტყვის თქმა! მე სხვებზედ მეტად

ვსაჭიროებდი შეწყალებას და სიტყვა “ამინ!”  
სასას მიმეკრა...

ლედი მაკბეტი: გეუბნები, რომ მაგ საქმეებს  
არ უნდა ეგრე ჩაუკვირდე, თორემ ჭკუიდან  
შეგვშლის ეგ ფიქრი.

მაკბეტი: მე მომესმა თითქო რაღაც ხმა:  
“ძილი გაგიქრა!” მაკბეტმაო მოჰკლაო ძილი,  
მოჰკლაო ძილი, რაიც ზრუნვის დახვლანჯულს გორგალს  
ჰხსნის, არკვევს! ძილი თვით უბიწო, ძილი-სიკვდილი  
ყოველდღიურის ცხოვრებისა; ტანჯულ სულთა ხსნა,  
მწარე შრომისგან განმზანელი, დიდის ბუნების  
დიადი შემწე; ამ ცხოვრების მონადიმეთა  
მსაზრდოებელი...

ლედი მაკბეტი: რაებს ამბობ?

მაკბეტი: “ძილი გაგიქრა!”

ამბობდა-მეთქი და მთელ სახლში ეს გაისმოდა:

მოჰკლაო ძილი გლემისმაო და დღეის იქით  
ვერ დაიძინებს ვეღარც კავდორ, ვეღარც მაკბეტი.

ლედი მაკბეტი: ვინ იყო, ვინა, მაგის მთქმელი? რისთვის ისუსტებ  
ძლიერს ბუნებას, ღირსო თენო, და შეშლილსავით  
რად გაგიტაცა მაგ ფიქრებმა? წადი და წყალით  
გადაიბანე ეგ საზიზღი ლაქა ხელთაგან.

ან ეს ხანჯლები აქ რაისთვის წამოგიღია?

იქავე უნდა დაგეყარა. წადი, წაილე  
და ის მძინარე შინაყმანი სისხლით მოთხვარე.

მაკბეტი: მე ვეღარ წავალ, მე მეშინის ჩემივ საქმისა  
და ვერ გავბედავ კვლავ შეხედვას.

ლედი მაკბეტი: ნებით უძღურო!

მომეც მაშ მე აქ. არ იცი, რომ მძინარეს და მკვდარს  
სურათს ადრიან, და დახატულ ეშმაკისა ხომ  
მხოლოდ ბავშვის თვალს ეშინიან. თუ კვლავ სისხლი სდის,  
მსახურთ იმ სისხლით დაჯუმშვენებ პირისახეთა,  
რომ მათ დაბრალდეს ყველაფერი.

(გადის. კარებს არახუნებენ)

მაკბეტი: ვინ არახუნებს?

რა მემართება, რომ ვთრთი ყოველ ხმაურობაზე!

რა მოუვიდა ამ ჩემს ხელებს! ოჰ, თვალეზსა მთხრის

ეს სანახავი! დიდ ნეპტუნის მთელ ოკეანეს

ძალუმს გარეცხოს ჩემნი ხელნი იმ სისხლისაგან?!

არა და არა! ეს ხელები უფრო ადვილად

ურიცხვის ზღვების ლაჟვარდ ზვირთებს წითლად შეღებენ!

(შემოდის ლედი მაკბეტი)

ლედი მაკბეტი: ჩემი ხელებიც ახლა სწორედ მაგ ფერისაა,  
მაგრამ ეგ მკრთალი გული ამ ჩემ მკერდქვეშ რომ იყოს,  
სირცხვილი დამწვავს. - (კიდევ კარებს არახუნებენ)  
სამხრეთის კარს არახუნებენ.

წავიდეთ ჩქარა ჩვენს ოთახში. ცოტა რამ წყალი  
გაგვბანს სრულიად ამ საქმის კვალს და დავმშვიდდებით...  
შენმა სიმტკიცემ გიღალატა... (კიდევ კარს არახუნებენ)  
კიდევ რახუნი!

ხომ გეყურება? საღამური ტანისამოსი  
ჩაიცვი, თორემ შესაძლოა შემთხვევით გვნახონ  
და მიხვდნენ, რომ არ გვძინებია. ეგრე ფიქრებში  
ნუ ხარ გართული.

მაკბეტი: არ მომსვლოდა ის ამბავი მე  
და თუნდ ქვეყნად არ შობილვიყავ! (კიდევ კარს არახუნებენ)  
ოჰ, ნეტავი კი,

დუნკან როგორმე მაგ რახუნით გამოაღვიძო!

(გადიან. შემოდის მეკარე. გარედან კიდევ არახუნებენ)

მეკარე: აი, ბრახუნიც ამასა ჰქვია! კაცი რომ ჯოჯოხეთის მეკარე იყოს, მარტო გასაღების  
ტრიალი დააბერებდა. (კიდევ არახუნებენ) დაჰკა, დაჰკა, დაჰკა! ტარტაროზის მადლსა,  
სთქვი, ვინა ხარ? ეს ალბათ მემამულეა, კაი მოსავლის ლოდინში რომ თავი ჩამოიღრჩო.  
დროზედ უნდა მოსულიყავ. სარტყელში ხელსახოცები ბლომად ჩაიკეცე, თორემ აქ  
ბევრი ოფლი მოგედინება. (კიდევ არახუნებენ) დაჰკა, დაჰკა! მეორე ეშმაკის მადლს  
გაფი-ცებ, სთქვი, ვინა ხარ? უთუოდ ეს სიტყვების ოსტატია, რომელიც ფიცით სასწორს  
საითაც უნდა, იქით გა-დაწევს. ეს სულ ღვთის სახელით ავკაცობდა, მაგრამ ღმერთთან  
მანც არ მიუშვეს. მოდი, მოდი, სიტყვების ოსტატო! (კიდევ არახუნებენ) დაჰკა, დაჰკა,  
დაჰკა! სთქვი, ვინა ხარ? ესეც ალბათ ის ინგლისელი თერძია, ფრანგული შარვლის  
ნაჭერი რომ მოიპარა. მოდი, დერციკო, შენს უთოს აქ კარგად გაახურებ. (კიდევ არახუ-  
ნებენ) კიდევ! ახლა აღარ გაჩუმდები! აბა, ვნახო, ვინა ხარ. - ვითომ ესეც ჯოჯოხეთია,  
ლამის გამყინოს. მე ეშმაკების მეკარედ ყოფნა აღარ მინდა; ის მინდოდა მხოლოდ  
სხვადასხვა ჯურის ხალხი მიმელო, რომელნიც ყვავილებით მოფენილ გზაზედ  
ჭიაკოკონების სანახავად მოდიან. (კიდევ არახუნებენ) ახლავ, მოვდივარ! აბა, ვინძლო,  
მეკარე არ დაივიწყო. (კარებს აღებს. შემოდინ მაკდუფი და ლენოქსი)

მაკდუფი: ძმობილო, განა აგრე გვიან დაწექ წუხელის  
დასაძინებლად, რომ აქამდის ვეღარ ამდგარხარ?

მეკარე: მე და ჩემმა ღმერთმა, ბატონო, წუხელის მამლის მეორე ყივილამდე ვსვამდით  
და ხომ მოგეხსენებათ, რომ ღვინის სმას სამი რამ მოსდევს.

მაკდუფი: რა არის ეგ სამი რამ?

მეკარე: ვაი, შენ ჩემო თავო, არ იცით? ცხვირის სიწითლე, ძილი და შარდი. ხურუშიც  
მოსდევს სმას და არც მოს-დევს; სურვილსა ჰბადებს და კაცს კი ღონეს ართმევს. სჯობს,  
ასე ვთქვა: სმა ხურუშს ოსტატურად ექცევა, - კიდევ აჩენს, კიდევ აქრობს. თან აქეზებს,  
თან ხელებს უკრავს; ახალისებს და ხალისს უკარგავს, აღვიძებს და აძინებს; მამასადამე  
ოსტატურად ძილსა ჰგვრის და რაკი ძილისკენ გააცურებს, თავს ანებებს.

მაკდუფი: მაშ სასმელს წუხელი შენც გაუცურებიხარ.

მეკარე: მეც სამაგიერო გადავუხადე, უფრო ღონიერი გამოვდექ და თუმცა ცოტა ხანს ფეხებში ბორკილი გამიყარა, მაგრამ დავძლიე და ყელში რაკრაკით ჩავაცურე.

მაკდუფი: შენი ბატონი არ ამდგარა? - აგერ, აქ მოდის;

ეტყობა, ჩვენმა ხმაურობამ გამოაღვიძა.

(შემოდის მაკბეტი)

ლენოქსი: კეთილი დილა გაგიტენოს ღმერთმა, ბატონო.

მაკბეტი: აგრეთვე თქვენცა, ბატონებო.

მაკდუფი: მეფე აბრძანდა, თუ ჯერედ არა?

მაკბეტი: ჯერედ არა.

მაკდუფი: მე მიბრძანა, რომ დილით ადრიან აქ ვხლებოდი;

მგონი, ვადასაც გადავაცილე.

მაკბეტი: წაგიძღვები იმათ კარამდე.

მაკდუფი: ვიცი ეს გარჯა საამოა შენთვის,

მაგრამა მაინც გარჯაა.

მაკბეტი: საამური რაიმე შრომა

ამცირებს გარჯის შეწუხებას. აი კარებიც.

მაკდუფი: გავბედავ შესვლას, თვით მათგანვე მაქვს ნაბრძანები. (გადის)

ლენოქსი: მეფე დღეს ხომ არ მიბრძანდება?

მაკბეტი: დიაღ, დღეს მიდის...

ბრძანება აგრე გამოვიდა.

ლენოქსი: ღამე წუხელის

აშფოთებული იყო ფრიად. სადაც ვიწექით,

საკვამლეთ თავნი ქარმა სრულად გადაანგრია.

როგორც ამბობენ, ტირილის ხმა ისმოდა ცაში

და უცნაური რამ კივილი ზარის კილოთი

ამცნევდა თურმე წინასწარად სიკვდილის ნიშნებს,

ცეცხლის გაჩენას და საშინელ შფოთსა და ამბოხს,

რასაც თან მოსდევს დრო აღსავსე მწუხარებითა.

ბნელის ფრინველიც თურმე მთელი ღამე ჰკიოდა.

ზოგნი ამბობენ, დედამიწა მაგმაგებდაო,

როგორც ციებით ავადმყოფი და კიდეც იძრა.

მაკბეტი: მოუსვენარი ღამე იყო, მართალსა ბრძანებ.

ლენოქსი: ჯერედ არ ახსოვს მსგავსი რამ ჩემს ყმაწვილკაცობას.

(შემოდის მაკდუფი)

მაკდუფი: ოჰ, საზარლებავ, საზარლებავ!

მაკბეტი და ლენოქსი: რა ამბავია?

მაკდუფი: ბიწმა დღეს თავი საგანგებოდ გამოიჩინა:

მკვლელმა სიკვდილის შემლახველმა დღეს შეუნგრია

უფლის ცხებულსა ტამარს კარი და წარიტაცა

მისი სიცოცხლე სულის მდგმელი!

მაკბეტი: რაო, სიცოცხლე?!

ლენოქსი: სთქვი, ხელმწიფეს ხომ არაფერი დაშავებია?

მაკდუფი: შედით საწოლში და მოისპეთ ეგ მხედველობა

ნახვით ახალის გორგონისა. ნუ მათქმევინებთ

მე ნურაფერსა; ნახეთ თვითონ და თვითონვე სთქვით.

(გადიან მაკბეტი და ლენოქსი)

ადექით ძილით, გაიღვიძეთ, ნაბათს დაჰკარით!

აქ ღალატია და კაცისკვლა. ბანქო, დონალბენ!

მალკოლმ! საჩქაროდ გაიღვიძეთ, განშორდით ტკბილ ძილს.

სიკვდილის სახეს და სიკვდილი თვით ნახეთ თვალთ!

ადექით, ნახეთ თქვენ სურათი მეორედ მოსვლის.

მალკოლმ და ბანქო! ლოგინიდან ადექით-მეთქი,

მოჩვენებათა დაემსგავსეთ კუბოდან ამდგართ,

რომ შესაფერნი იყვნეთ ასეთ საშინელების.

(შემოდის ლედი მაკბეტი)

ლედი მაკბეტი: რა მოხდა ნეტა ისეთი რამ, რომ ეს საყვირი

უსიამოვნო გვიხმობს მძინარ მოდარბაზეთა?

სთქვით საჩქაროდ, სთქვით!

მაკდუფი: ვერ აიტანთ იმის მოსმენას,

რაც მაქვს სათქმელი. ქალის ყურს რომ გავაგებინო,

ჩემი სიტყვები საწამლავად გადაიქცევა. -

(შემოდის ბანქო)

ოჰ, ბანქო, ბანქო, მოჰკლეს ჩვენი მეფე-პატრონი!

ლედი მაკბეტი: ვაი ჩემს თავსა, ეს რა მესმის! როგორ, ჩვენს სახლში?!

ბანქო: ეგ სადაც უნდა მომხდარიყოს, საშინელია!

მვირფასო მაკდუფ, გთხოვ, უარჰყო შენივე სიტყვა,

სთქვი, ვტყუოდი-თქო.

(შემოდის მაკბეტი და ლენოქსი)

მაკბეტი: ერთ საათ წინ რომ მომკვდარვიყავ,

ჩემს თავს ჩავთვლიდი ბედნიერად; დღეიდგან კია

გაჰქრა ამ მოკვდავთ ქვეყანაში ჭკვათა-მყოფლობა,

ყოველისფერი ამაოა! წარწყმდა დიდება,

სახელოვნება; დაილია ცხოვრების ღვინო

და დღეს სარდაფში თავმომწონედ ნალეკი მეფობს!

(შემოდის მალკოლმი და დონალბენი)

დონალბენი: უბედურება მოხდა რამე?

მაკბეტი: თქვენს თავზედ მოხდა

და არ იცით კი! დაშრა წყარო, ძირი, სათავე

თქვენის სისხლისა და სიცოცხლით აღარ ჩქეფს იგი.

მაკდუფი: მეფე მოუკლავთ, მამათქვენი!

მალკოლმი: ოჰ! როგორ, ვისა?!

ლენოქსი: როგორც ეტყობა, თვით მის დარაჯთ მოუქმედნიათ:

ხელები, სახე სისხლით ჰქონდათ სრულად გასვრილი,

ხანჯლებიც ჯერედ გაუწმენდნი იქვე ელაგათ  
მათ ბალიშებზედ და გვიმზერდნენ გამტერებულნი, -  
არ იყო მათთვის მისანდობი კაცის სიცოცხლე.  
მაკბეტი: მაინც ვნანობ, რომ ავლელი და მოვკალ იგინი.

მაკდუფი: რადა ხოცავდი?

მაკბეტი: რომელს ძალუმს ერთს და იმავ დროს  
იყოს მრისხანეც და მშვიდიცა; ვინ მოათავსებს  
ერთად სიწყნარეს და სიცხარეს, ერთგულებასა  
და გულგრილობას? ვერვინ. მშვიდი გონება ჩემი  
უკან დასტოვა სიყვარულის აღფრთოვანებამ.

იქ იწვა დუნკან, რომელს სახე ვერცხლებზე ბრწყინვალე  
სისხლის ვარაყით შეჰვლებოდა. მის ჭრილობანი  
ჰგავდნენ განზრახად ბუნებაში შენგრეულს ხვრელსა,  
რომ აოხრებას მოეკიდნა იქ მკვიდრი ბინა.

აქეთკენ მკვლელნი შედებილნი თავიანთ ცოდვით...

მათი ხანჯლები ქარქაშით წილად შეკუმშულ სისხლში  
გახვეულიყვნენ საზიზღარად! ვინ მოითმენდა,  
ვისაც აქვს გულში სიყვარული და ძალიც შესწევს,  
ეს სიყვარული დაამტკიცოს.

ლელი მაკბეტი: ვაი, მიშველეთ! ჩქარა აქედან წამიყვანეთ.

მაკდუფი: მიდით, მიჰხედეთ.

მალკოლმი (ჩუმად დონალბენს): ჩუმად რასა ვართ! ეს საქმე ხომ უფრო ჩვენია,  
ვიდრემდე სხვისა.

დონალბენი (ჩუმად მალკოლმს): რაღა გვეთქმის აბა აქ კიდეც,

სად ბედისწერას ჩვენსას ძალუმს თვის საფარიდან

უეცრად თავზედ დაგვეცეს და გაგვანადგუროს.

ის სჯობს, წავიდეთ, ცრემლი ჯერ არ დაგვმზადებია.

მალკოლმი (ჩუმად დონალბენს): და მწუხარებას ჩვენსას ძლიერს ჯერ დრო არა აქვს  
საქმედ გადიქცეს.

ბანქო: ლელი მაკბეტს მიჰხედეთ-მეთქი... (ლელი მაკბეტი გაჰყავთ)

და როდესაც კი ჩვენს სუსტსა და შიშველსა სხეულს

შევიმოსავთ და მწვავ სიცივეს მოვერიდებით,

ერთად შევგროვდეთ და ეს საქმე კაცისმკვლელობის

გამოვიძიოთ. შიში, ეჭვი გულში აღვეძრა...

უფალს ვაბარებ ჩემს თავსა და სასტიკ ფიცსა ვდებ,

შევებრძო ფარულ ავთა წადილთ, რომელთ საზარლად

ასეთსა მუხთალ კაცისკვლაში თავი იჩინეს.

მაკდუფი: მეც მაგ ფიცსა ვდებ.

ყველანი: აგრეთვე ჩვენც.

მაკბეტი: წავიდეთ ჩქარა, ტანისამოსი შევიმოსოთ

და დიდს დარბაზში ერთად მოვგროვდეთ.

ყველანი: თანახმა ვართ!

(გადიან ყველანი მალკოლმსა და დონალბენს გარდა)

მალკოლმი: შენ რას აპირობ?

ვგონებ ისა სჯობს, მოვერიდოთ, ცბიერ კაცისთვის ადვილი არის მწუხარების განგებ მიჩნევა.

მე ინგლისს წავალ.

დონალბენი: და მე კია ირლანდიაში.

როცა ერთმანეთს დავშორდებით, უფრო უშიშრად ვიქნებით მაშინ. თორემ ღიმი მალავს ხანჯლის წვერს და ვინც ახლოა სისხლით ჩვენთან, უფრო სისხლსა სვამს, მკვლელი ისარი ჩვენს მხარესკენ გამოსროლილი ჯერ არ მოსულა თვის ნიშნამდე; ის გვირჩევნია, თავი როგორმე ავარიდოთ. შევსხდეთ ცხენებზედ, დავეხსნათ ფუჰსა თავაზობა-გამოსალმებას და გავეშუროთ! არ ეძრახვის არვის ქურდობა, თუ თავს იპარავს ამისთანა უწყალო დროსა. (გადიან)

## სურათი II

იგივე ადგილი. მაკბეტის ციხე-დარბაზის ახლო

(შემოდინ როსი და ბერიკაცი)

ბერიკაცი: სამოცდაათის წლის ამბავი მახსოვს მე კარგად და ამ გრძელ ხანში საზარო დროც ბევრი მინახავს, უცნაური რამ ამბავიცა, მაგრამ ამ ღამემ

ბაიყუშურმა გააცუდა, რაც კი მახსოვდა.

როსი: ადამიანის ქცევამ თითქო ცა შეამრწუნა

და ჰხედავ, როგორ მის ასპარეზს სისხლითა მორწყულს რისხვით ემუქრის. დრო-ჟამით რომ დღე უნდა იყოს, ბნელი მწყვდიადი ეფარება ცათ მავალ მნათობს.

არ ვიცი, ღამე მეფობს, თუ დღის ნათელი მორცხვობს, -

ეს კია, ბნელი დედამიწას გადეკრა სრულად,

როდესაც უნდა მას სინათლე სულის ჩამდგმელი

გარს ევლებოდეს.

ბერიკაცი: ეგ ბუნებას წინააღმდეგობს

იმ ახლად მომხდარ ცოდვის მსგავსად. სამშაბათს კიდევ,

როცა ამაყად შავარდენი ცაში ცურავდა,

თავიჭერია ბუ უეცრად დაეცა თავსა და მოჰკლა იგი.

როსი: კიდევ აი უცნაური რამ,

მასთან მართალი: მშვენიერნი დუნკანის ცხენნი,

სანაქებონი და განთქმულნი თვისის სიმარდით,

დაგიჟდნენ თურმე, გაანგრიეს საჯინიბონი,

გარდაიხვეწნენ შეუპოვრად და თითქო ომი

გამოუცხადეს ადამიანს.

ბერიკაცი: ესეც სთქვეს კიდევ, გადასჭამესო ერთმანეთი.

როსი: სწორედ ეგრეა,



ჩემდა საოცრად ჩემივ თვალით ვნახე მე ეგა. -  
კეთილი მაკდუფ მოდის აგერ. (შემოდის მაკდუფი)  
რა ამბავს იტყვი ამ ქვეყნისასა?  
მაკდუფი: განა თვითონ შენ კი არ იცი?  
როსი: ხომ არ გამჟღავნდა, თუ ვინა ჰქმნა ის ბოროტება?  
მაკდუფი: იმათ უქმნიათ, ვინც დახოცა მაშინ მაკბეტმა.  
როსი: მერე ნეტავი რა სიკეთეს გამოელოდნენ!  
მაკდუფი: შესყიდულნი თუ იქნებოდნენ. ხელმწიფის ძენი,  
მალკოლმ, დონალბენ გაქცეულან და ეს ამბავი  
ექვს სწორედ მათზედ გვატანებს.  
როსი: ესეც ბუნების წინააღმდეგი. უთაურო თავმოყვარებავ,  
გინდა, რომ შთანთქა თვით შენივე მსაზრდოებელი! -  
ექვი არ არის, მაშ მეფობა მაკბეტს ერგება.  
მაკდუფი: და დასვეს კიდეც; ახლა იგი სკონს გაემგზავრა  
საკურთხეებელად.  
როსი: სადღა არის ღუნკანის გვამი?  
მაკდუფი: ის წაასვენეს კოლომბანის აკალდამაში,  
იქ, სადაც მისთა წინაპართა ძვალთ სამარხია.  
როსი: შენც სკონს მიდიხარ?  
მაკდუფი: არა, ძმაო, მე ფაიფს მივალ.  
როსი: მე კი სკონს წავალ.  
მაკდუფი: მაშ მშვიდობით. ღმერთმა ინებოს,  
რომ შენმა თვალმა იქ იხილოს კარგი ამბები;  
მაგრამ ვაი თუ ახალ სამოსს ძველი გვერჩიოს.  
როსი: მშვიდობით, ჩემო ბერიკაცო!  
ბერიკაცი: ღმერთმა გაკურთხოს!  
აკურთხოს ღმერთმა მის მარჯვენაც, ვინც კი შეიძლებს  
ავის კეთილად გარდაქმნასა, მტრისას მეგობრად.  
(გადიან)  
მოქმედება მესამე  
სურათი I  
ფორესი. ოთახი სასახლეში  
(შემოდის ბანქო)  
ბანქო: რაც კი აღვითქვეს იმ გულთმისან დედაკაცებმა,  
ყველა ასრულდა: გლემისიც ხარ, კავდორიც, მეფეც!  
მეშინის მხოლოდ, ვაი თუ შენ ამ დიდებისთვის  
ბოროტი გზა რამ აგერჩიოს. ისიც ხომ გითხრეს,  
რომ არ შერჩება ტახტი შენსა შთამომავლობას  
და მე ვიქნები მეფეთ გვარის მამათმთავარი.  
თუ მართალი სთქვეს, - შენზედ აკი ცხადად აღსრულდა  
იმათი სიტყვა - მაშ არ არის განა შესაძლო,  
რომ მეც ნამდვილად იმგვარადვე დამპირებოდნენ

და გულს იმედი გაეღვიძათ?! - სსუ, აწ კი ჩუმად!  
(საყვირის ხმა. შემოდინ მაკბეტი მეფის ტანისამოსში, ლედი მაკბეტი დედოფლისაში, ლენოქსი, როსი, დიდებულნი, მათნი ცოლნი და მხლებელნი)  
მაკბეტი: აქა ყოფილა უმთავრესი სტუმარი ჩვენი.  
ლედი მაკბეტი: აქ რომ არ იყოს, ჩვენს დიდ მეჯლისს დაეტყობოდა, მოაკლდებოდა უკეთესი თვის სამკაული.  
მაკბეტი: ამაღამ დიდი ვახშამი გვაქვს, გთხოვ შენც მოხვიდე.  
ბანქო: ბრძანებას თქვენსას, ხელმწიფეო, ვემორჩილები;  
თქვენს სამსახურად ვალი ჩემი სამარადისოდ განუწყვეტელის ჯაჭვით არის მტკიცედ დაბმული.  
მაკბეტი: მიდიხარ სადმე ამ საღამოს?  
ბანქო: დიაღ, ხელმწიფე.  
მაკბეტი: ეგ რომ არ იყოს, დღეს კრებაზედ რჩევას გკითხავდი, - შენი რჩევა ხომ საკეთილო ყოფილა მუდამ.  
ხვალისთვის დარჩეს. შორს მიდიხარ?  
ბანქო: იმდენად შორსა, რომ ვახშობამდე დავბრუნდები. თუ ჩემმა ცხენმა არ მოუმატა ნაბიჯს, მაშინ ერთს, თუ ორ საათს დავესესხები ბნელსა ღამეს.  
მაკბეტი: ეცადე, ნადიმს არ გამოაკლდე.  
ბანქო: გაიხლებით, უთუოდ, მეფე.  
მაკბეტი: ჩვენი ბოროტნი ნათესავნი, როგორც გვაუწყეს, გარდახვეწილან ინგლისსა, თუ ირლანდიაში; არა ტყდებიან, მალვენ საზარ მამის-მკვლელობას და მათთა მსმენელთ უამბობენ თურმე უცნაურ, მოგონილ ამბებს. ამაზედ ხვალ ვილაპარაკოთ, როს სახელმწიფოს სხვა საქმისთვის ერთად შევკრებით. - (ბანქოს) მაშ ჩქარა წადი, გეთხოვებით ამაღამამდის. ფლეანსიც შენთან ხომ არ მოდის?  
ბანქო: დიაღ, ხელმწიფე. უნდა სასწრაფოდ გავემურო.  
მაკბეტი: ვინატრი შენთვის ცხენსა სწრაფსა და ფეხმაგარსა, რომ არ გიმტყუნოს. წადი, მშვიდობით. - (ბანქო გადის)  
ამ საღამოს შვიდ საათამდე თავისუფალნი ხართ ყოველნი. რომ უფრო ტკბილად შევძლო დახვედრა, ვახშობამდე მსურს მარტო დავრჩე. დრომდე მშვიდობით. - (გადიან ყველანი, გარდა მაკბეტისა და ერთის მხლებლისა)  
შენ, აქ მოდი. ხომ იქ არიან დაბარებულნი?  
მხლებელი: დიაღ, მეფე, სასახლის კართან თქვენს ბრძანებასა მიელიან.  
მაკბეტი: აქ დამიძახე (მხლებელი გადის).

რაა ეს ყოფა, თან უშიშრად თუ არ ვიქნები!  
ღრმად გამჯდარი მაქვს ბანქოს რიდი; მის ხასიათში  
რალაცა არის ხელმწიფური და საშიშარი:  
გამბედაობას, შეუდრეკელს იმის ბუნებას  
ნათელი ჭკუა წინ მიუძღვის გამაფრთხილებლად.  
მხოლოდ მის შიში მაქვს მე-მეთქი, სხვა არავისი.  
ჭკუა-გონება ჩემი მის წინ ისე არად სჩანს,  
ვით არად სჩანდა კეისრის წინ, როგორც ამბობენ,  
მარკ ანტონიოს გონივრება. აკი იმ დებსაც  
უსაყვედურა, როს პირველად მეფე მიწოდეს,  
და უბრძანა, რომ ეთქვათ რამე მაგისათვისაც.  
მაშინ იყო რომ მიულოცეს წინასწარ-მთქმელებრ  
დიდ მეფეთ გვარის მამად ყოფნა. მე თავს დამადგეს  
ფუჭი გვირგვინი, უნაყოფო სკიპტრა ხელთ მომცეს;  
ვიღაცა უცხომ უნდა იგი ძალით წამართვას  
და არ არგუნოს ჩემთა ძეთა! თუ ეს ახდება,  
ბანქოს შვილთათვის გამისვრია მაშ ჩემი გული,  
მათთვის მომიკლავს ქველი დუნკან და აღმივსია  
სინიდისისა ქენჯნით მშვიდის ცხოვრების თასი!  
იმათთვის-მეთქი! მაშ საუნჯეც სამარადისო  
მისთვის დავუთმე კაცის მავნე ბოროტსა სულსა,  
მხოლოდ იმისთვის, რომ ბანქოს თესლს მეფობა მივცე?!  
ამას ის არ სჯობს, რომ პირისპირ შევება ბედსა  
და სიცოცხლეს კი არ დავზოგო მედგარ ბრძოლაში!  
ეს ვინ ხმაურობს? -

(შემოდის მხლებელი და ორი კაცისმკვლელი)

(მხლებელს) შენ წადი და კარებთან იდეგ,

ვიდრე არ გიხმო. - (მხლებელი გადის)

თქვენ გუშინ არ გელაპარაკეთ?

პირველი კაცისმკვლელი: დიად, ხელმწიფევ.

მაკბეტი: მერე ყველა კარგად იფიქრეთ,

რაც მე გითხარით? ხომ იცით, რომ ის იყო იგი,

რომელსაც დღემდის ჰყავდით აგრე გაწბილებულნი.

თქვენ კი მსახავდით მე, უბრალოს, მაგის მიზეზად.

გუშინ ეგ ყველა დაგიმტკიცეთ, თვალით გიჩვენეთ,

ვით გატყუებდნენ, გზაზედ როგორ გეღობებოდნენ,

რა და რა ღონით ხელს გიშლიდნენ, - რაღას ვაგრძელებ,

ნახევარ-კაცსაც ეს ყოველი, თვით სუსტსა ჭკუას

ათქმევინებდა: “აი, ყველა ეს ბანქომა ჰქმნა!”

პირველი კაცისმკვლელი: ყოველისფერი გვიბრძანეთ თქვენ.

მაკბეტი: ეგ მართალია,

და აი ახლა მსურს გაუწყობთ დანარჩენიცა.

როგორ გგონიათ, მოთმინება თქვენს ბუნებაში  
იმდენად მძლავრობს, რომ ამ საქმეს თავი ანებოთ  
და სახარების სიტყვისამებრ გინდათ ილოცოთ  
იმ სათნოიან კაცისათვის და მის შვილთათვის,  
რომლის სასტიკმა ხელმა ჩაგფლათ ცოცხლივ საფლავში,  
გლახად გარდაგქმნათ?

პირველი კაცისმკვლეელი: ჩვენც კაცი ვართ.

მაკბეტი: დიად, კაცი ხართ,  
თქვენცა სწერიხართ კაცთა რიცხვში. მწევარს, მეძებარს,  
ფინიას, ქოფაკს, გოშიასაც ძალებს ეტყვიან,  
ერთად არიან მოქცეულნი ძაღლთა სიაში.

მაგრამ გარჩევა ადვილია მის კვალობაზედ,  
თუ რა ნიჭს აძლევს მათ გულუხვი ბუნება ჯილდოდ:

ზოგი ძალია, ზოგი ნელი, მინაზებული,  
ზოგი ნადირობს, ზოგი სახლ-კარს დარაჯობს ღამე  
და ეს თვისება მათ სიაში ჩამოთვლილია,  
თუმცა კი ყველას თანაბრად სძევს ძაღლის სახელი.

ესევე ითქმის კაცებზედაც. ახლა რას იტყვით?

თუ თქვენც ადგილი გაქვთ რაიმე კაცთა ხროვაში,  
კაცობრიობის უღირსს ნაღეს თუ არ შეადგენთ,  
მაშინ მოგანდობთ ერთსა საქმეს, რის შესრულება  
მძლავრს მტერს თავიდან მოგაცილებთ, დაგაახლოვებთ  
თქვენ ჩემს გულთანაც, რადგან იმის სიცოცხლე მძიმე  
ტვირთად მაწევს მეც და მის მოკვლით ამ ტვირთს ავიხსნი.

მეორე კაცისმკვლეელი: ჩემო ხელმწიფევ, ქვეყანამ მე ისე დამჩაგრა და წამაქეზა ქიშტის  
კვრით, რომ არას მივხე-დავ.

ოღონდ ეს ჯავრი როგორმე კი ამოვიყარო.

პირველი კაცისმკვლეელი: მეც კი, ბატონო, ისე დამცა უბედურებამ, ისე გამთელმა  
იღბალმა, რომ თავს არ დავ-ზოგავ:

ანუ მოვკვდები, ან უკეთესს ბედს შევეყრები.

მაკბეტი: ორივემ კარგად იცით, ბანქო თქვენი მტერია.

ორივე კაცისმკვლეელი: ვიცით, ბატონო.

მაკბეტი: ჩემიც არის; მერე ისეთი მოსისხლე მტერი,  
რომ რამდენიც დღე ემატება,

იმდენს სიცოცხლეს ვაკლდები მე. თუმცა შემეძლო  
ჩემი სურვილი თვალსაჩინოდ გამომეცხადა

და ამ უფლებით აღმეგავა იმისი კვალი,

მაგრამ არ მწადის ეს, რადგანაც იმასაც და მე

მეგობარნი გვყავს საერთონი. მე არ დავკარგავ

ამ მეგობრებსაც, რაკი განგებ გამოვიტირებ,

ვისაც მევე ვსპობ ამ ქვეყნიდან! აი რისთვისაც

მოწყალე გულით მოგმართეთ თქვენ და მსურს დავფარო

ზოგიერთ მძიმე მიზეზთ გამო ეს ხალხის თვალში.  
მეორე კაცისმკვლეელი: რასაც გვიბრძანებთ, ალვასრულებ, ჩემო ხელმწიფევ.  
პირველი კაცისმკვლეელი: თუნდ რომ დაგვხოცონ...  
მაკბეტი: თქვენს სახეში სჩანს თქვენი გული.  
ამ ერთ საათში მე განიშნებთ, სად უნდა დადგეთ,  
საიდან უნდა უთვალთვალოთ, რა დროს მისცვივდეთ;  
საჭიროა, რომ ამაღამვე შესრულდეს ყველა  
ცოტა სასახლის მოშორებით, რადგან არა მსურს,  
ჩემზედ რამ ეჭვი მოიტანონ. იმასთან ერთად, -  
რომ აღარ დარჩეს არც ნახევი და არც ნაფლეთი -  
მის შვილ ფლენანსაც იმ ბნელ ჟამის ბედი უწილეთ,  
ისიც თან წაჰყვა თავის მამას. მის მოკვლა ჩემთვის  
ნაკლებ საჭირო აღარ არის მამის სიკვდილზედ.  
ორივე კაცისმკვლეელი: გადაწყვეტილი გვაქვს, მეფეო.  
მაკბეტი: ძალიან კარგი, ახლავე მოვალ,  
სასახლიდან ნულარსად წახვალთ.  
(კაცისმკვლელები გადიან)  
მორჩა, გათავდა! ბანქო, შენი სული გაფრინდა.  
თუ ცა გხვდა წილად, ამაღამვე ზეცას ეწევი. (გადის)

## სურათი II

იგივე ადგილი. ოთახი სასახლეში  
(შემოდინა ლედი მაკბეტი და მსახური)  
ლედი მაკბეტი: ბანქო წავიდა სასახლიდან?  
მსახური: დიაღ, გაიხლათ და ამაღამვე დაბრუნდება.  
ლედი მაკბეტი: წადი, ხელმწიფეს მოახსენე,  
რომ ლაპარაკი მსურს მე იმასთან.  
მსახური: ახლავ, ბატონო, გაიხლებით. (გადის)  
ლედი მაკბეტი: როცა საწადელს მივალწევთ ჩვენსას  
და ვერ ვიგრძნობთ კმაყოფილებას,  
“დავკარგეთ ყველა” ითქმის მაშინ, “არარა ვპოვეთ”.  
სჯობს მკვდარი ვიყოთ, თვით ის, ვისიც სიცოცხლე მოვსპვით,  
ვიდრე საეჭვო ლხენა ვპოვოთ ამ მოსპობითა.  
(შემოდის მაკბეტი)  
ბატონო ჩემო, როგორა ხარ? რად რჩები მარტო,  
და ამხანაგად რისთვის იხდი მავნე ოცნებათ?  
ეგე ღრმა ფიქრნი, რომელთ სრულად გაუტაცნიხარ,  
თავის საგანთან ერთად უნდა დამარხულიყვნენ.  
რასაც არარა ეშველება, სჯობს რომ დავეხსნათ.  
რაც მოხდა, მოხდა.  
მაკბეტი: გველეშაპი დავჭერით მხოლოდ,  
კი ვერ მოვკალით. ტანს შეიკრებს, გამოცოცხლდება

და ჩვენს უღონო მძულვარებას იმისი კბილი  
კბენას უქადის უწინდელეზრ. მაგრამ ისა სჯობს,  
არსთა კავშირი დაიშალოს, ორთავ ქვეყანას  
დაადგეს ტანჯვა, ვიდრე ლუკმას შიშითა ვჭამდეთ,  
ღამე გვიკრთობდნენ ძილს საზარო მოჩვენებანი.  
სჯობს მკვდართან ვიწვეთ, რომელს ჩვენვე ხმა ჩავუკმინდეთ  
ამ ღირსებისა შესამენად, ვიდრე მუდამ ჟამს  
მოსვენებასა მოკლებულნი, მწარედ ვგმინავდეთ.  
საფლავში არის ახლა დუნკან, მას კარგად სძინავს  
ამა მღელვარე, ფუჭ ცხოვრების ტალღების ქვეშე...  
რაც კი შეეძლო უარესი, ღალატმა ის ჰქმნა:  
ვერც საწამლავი, ვერც ფოლადი, ვერც შინ ამბოხი,  
ველარც გარეშე მტერი იმას ვერას დააკლებს.  
ლედი მაკბეტი: ბატონო ჩემო, კარგი, კმარა. გადაიშალე  
ეგ პირისახე მოღრუბლული, გამხიარულდი,  
სიამოვნებით დაუხვდი შენს სტუმრებს ამალამ.  
მაკბეტი: აგრე ვიქ, აგრე და შენცა გთხოვ, ჩემებრ მოიქცე.  
ეცადე ბანქოს განსხვავებით კარგად მოეპყრა,  
ასიამოვნე თვალითაც და ტკბილის ენითაც.  
ცუდი დრო არის, რაკი ჩვენი ხარისხ-ღირსება  
ცრუ მლიქვნელობის მდინარეში უნდა განვბანოთ,  
გადავაფართო პირისახე გულს დასამალად.  
ლედი მაკბეტი: კმარა მაგაზედ ლაპარაკი.  
მაკბეტი: ჩემი გონება მორიელეებით სავსე არის, სულზედ უტკბესო, -  
ბანქო და ფლეანს, კარგად იცი, ქვეყნად დადიან.  
ლედი მაკბეტი: მერე უკვდავი ხომ არა სძევთ სახიერება!  
მაკბეტი: ეგ მანუგემებს, სიკვდილს ვერსად გაექცევიან...  
მაშ გაიხარე: ვიდრე ნანგრევთ გარს შემოუვლის  
ფრენით ღამურა; ვიდრე შავის ჰეკათის წვევით  
ბრჭყვიალ-ფრთიანი ღამის ბუზი თანაბარის ხმით  
გამართავს ბზუილს მთქნარებისა და ძილის მომგვრელს,  
საზარი საქმე შესრულდება.  
ლედი მაკბეტი: რაო, რა საქმე?  
მაკბეტი: ნუ იცოდინებ, ჩემო გვრიტო, იყავ უმანკო,  
როს გათავდება, მაშინ ნაქმნარს ქება მიუძღვენ.  
თვალთა-ამხვევო ღამევ, მოდი და გადეფარე  
შემბრალელების დღის ნაზ თვალებს! მაგ უხილავის,  
მოსისხლე ხელით შუა გასჭერ, წვრილად დაჰგლიჯე  
სიცოცხლის ძაფი, რაიც შიშის ჟრუანტელსა მგვრის...  
ხშირი ბინდია. ახლა ყვავი თავის სასურველ  
ტყისკენ მიფრინავს; დღის კეთილნი არსნი მიყუჩდნენ  
და ღამის ბნელთა მოხელეთა მათს მსხვერპლს მიჰმართეს.

ჩემი სიტყვები გაოცებენ, მაგრამ დამშვიდდი:  
ცუდად დაწყებულ საქმეს ცუდივ შესძენს სიმტკიცეს.  
აბა, წავიდეთ. (გადიან)

### სურათი III

იგივე ადგილი. ხევნარი, რომელშიაც მოჩანს სასახლეში მისავალი დიდი კარი  
(შემოდის სამი კაცისმკვლეელი)

პირველი კაცისმკვლეელი: ვინ გითხრა, რომ ჩვენთან მოდიხარ?

მესამე კაცისმკვლეელი: მაკბეტმა.

მეორე კაცისმკვლეელი: ვენდოთ. მაგან იცის აქ რისთვისა ვართ  
და ან რა საქმეც გვაკისრია.

პირველი კაცისმკვლეელი: დარჩი მაშ ჩვენთან. -

დასავლეთისკენ კიდევ ცოტად ბუბუტავს დღის შუქი;

ნაგვიანევი მგზავრი ახლა ცხენს მიაშურებს,

რომ თავის დროზედ დაბინავდეს. ვისაც ჩვენ ველით,

ისიც ახლავე უნდა გაჩნდეს.

მესამე კაცისმკვლეელი: სსუ, ყური უგდეთ! ცხენის ფეხის ხმა.

ბანქო (გარედან): მოგვინათეთ, არავინა ხართ?

მეორე კაცისმკვლეელი: ის არის, ისა, სხვა ყველანი,

ვისაც ელოდნენ, სულ აქ არიან.

პირველი კაცისმკვლეელი: უკან მიჰყავთ იმის ცხენები.

მესამე კაცისმკვლეელი: ყველას აგრე აქვს ჩვეულებად.

აქა ხტებიან და ფეხით მივლენ სასახლემდე.

მეორე კაცისმკვლეელი: სინათლე მოჩანს.

მესამე კაცისმკვლეელი: ის არის!

პირველი კაცისმკვლეელი: აბა, მარჯვედ ვიყოთ.

(შემოდის ბანქო და ფლეანსი. წინ მსახური

მოუძღვით მაშხალით ხელში)

ბანქო: ამაღამ უნდა წვიმა მოვიდეს.

პირველი კაცისმკვლეელი: დე, მოვიდეს! (ბანქოს მისცვივიან)

ბანქო: ჰოი, ღალატი!

გაიქეც, ფლეანს, ჩქარა, ჩქარა! ჯავრს ნუ შეარჩენ. -

ბოროტო მონავ!

(კვდება. ფლეანსი გაიქცევა)

მესამე კაცისმკვლეელი: ვინ გააქრო ნეტა სანათი?

პირველი კაცისმკვლეელი: ისე არ სჯობდა?

მესამე კაცისმკვლეელი: მამა მოკვდა, შვილი გაგვისხლტა.

მეორე კაცისმკვლეელი: ვერ შევასრულეთ მაშ რაც უფრო საჭირო იყო.

პირველი კაცისმკვლეელი: რა ვქნათ, წავიდეთ და რაც მოხდა, იგი ვაცნობოთ.

(გადიან)

### სურათი IV

იგივე ადგილი. დიდი დარბაზი სასახლეში

(ნადიმია მომზადებული. შემოდინ მაკბეტი, ლედი მაკბეტი, როსი, ლენოქსი, დიდებულნი და მხლებელნი)

მაკბეტი: თქვენი ხარისხი ყველამ იცით, გთხოვთ, რომ დაბრძანდეთ.

თავიც და ბოლოც ეს იქნება ჩემის სიტყვისა:

დიდად მიხარის თქვენი ხილვა ჩემ სასახლეში.

დიდებულნი: გმადლობთ, ხელმწიფევ.

მაკბეტი: ჩვენ თვითონვე თქვენში ვიქნებით,

როგორც სტუმარი უმცირესი და მასპინძლადა

მეუღლე ჩემი გვეყოლება. მოვთხოვთ მხოლოდ

გულით დახვედრა.

ლედი მაკბეტი: ჩემ მაგივრად თქვენ განუცხადეთ

ჩვენთა მეგობართ, თუ ვით ვხარობ მაგათ ხილვასა.

მაკბეტი: შეხედე, როგორ გულითადად გიძღვნიან მადლსა. -

თანაბარია ორივე მხარე. მე აქ დავჯდები

სწორედ შუაში. აბა, კარგად გავმხიარულდეთ

და სავსე ჭიქა სათითაოდ ჩამოვირიგოთ. -

(პირველი კაცისმკვლეელი კარებთან გამოჩნდება)

სისხლი გაცხია შენ სახეზედ.

კაცისმკვლეელი: ბანქოსი უნდა იყოს ეს სისხლი.

მაკბეტი: შენ გარედგან უფრო გიხდება,

ვიდრე მას შიგნით. გაისტუმრე?

კაცისმკვლეელი: ყელი გამოვჭერ აი ამ ხელით.

მაკბეტი: ყელის-მჭრელი საუკეთესო

ყოფილხარ მამ შენ; ბარაქალა იმასაც ეთქმის,

ვინც ფლენსაც ეგ საქმე უყო. თუ შენა ჰქმენი,

შეუდარებელს დაგიმახებ.

კაცისმკვლეელი: დიდო ხელმწიფევ, ფლენს გაიქცა.

მაკბეტი: ოჰ, მამ ისევ შემიპყრა სენმა.

ისიც რომ გექმნათ, განმკურნავდით, მოვიპოებდი

მე მარმარილოს სიმკვიდრესა და კლდის სიმტკიცეს,

ცის ჰაერივით გავხდებოდი თავისუფალი!

აწ ვარ ჩამწყვდეულ, ჩაკეტილი, შემოზღუდული

და შეჯაჭვული თავხედ ეჭვთან და შიშთან ერთად!

ბანქო ხომ მაინც წასულია?

კაცისმკვლეელი: დიაღ, ხელმწიფევ:

თხრილში წევს იგი თავში ისეთ ოცის ჭრილობით,

რომ თითო კმარა უმცირესიც კაცის საკლავად.

მაკბეტი: მადლობელი ვარ მაგისთვისაც. ბებერი გველი

იქ მკვდარი გდია, მის წიწილი კი გაქცეულა.

თუმც მშობელსავით ისიც ერთხელ გესლს დაიმზადებს,

მაგრამ არ უჭრის ჯერედ კბილი. ახლა კი წადი;

ხვალ კიდევ გნახავ და მოგისმენ.



(კაცისმკვლეელი გადის)

ლედი მაკბეტი: ბატონო ჩემო,  
რაისათვის არ მხიარულობთ? თუ მასპინძელი  
არ უწილადებს სტუმართ თავის სიამოვნებას,  
მაშინ ნადიმი ფასით ნაყიდს დაემსგავსება.

პურის ჭამისთვის შინ ჯდომა სჯობს. თავაზიანი  
სიტყვა, ზრდილობა ლაზათია მასპინძლის სუფრის  
და უიმისოდ მეჯლისიც კი მოსაწყენია.

მაკბეტი: ტკბილო მრჩეველო! აბა, მადა ვინატროთ კარგი,  
ვიმხიარულოთ, რომ სიმრთელედ გადგვექცეს საზრდო.

ლენოქსი: სკამს არ ინებებთ, ხელმწიფეო?

(ბანქოს აჩრდილი შემოდის და მაკბეტის სკამზედ დაჯდება)

მაკბეტი: ამ სასახლეში დღეს შეკრებილი იქნებოდა მთელი დიდება  
ჩვენის ქვეყნისა, ბანქოც ჩვენთან რომ დასწრებოდა.

დმერთმა ჰქმნას, ისევ დავაყვედრო მოუსვლელიობა  
და ჩვენდა ჭირად ხიფათი რამ არ დამართოდეს.

როსი: უნდა რცხვენოდეს, დაგვპირდა და არ კი მოვიდა. -  
ბედნიერ გვყავით, ხელმწიფეო, ჩვენთან დაბრძანდით.

მაკბეტი: ყველგან რომ სხედან!

ლენოქსი: აი, თქვენთვის ადგილი მზაა.

მაკბეტი: სადა?

ლენოქსი: აი აქ, ხელმწიფეო. რამ აგაღელვათ?

მაკბეტი: ეს ვინა ჰქმენით?

დიდებულნი: რას გვიბრძანებთ?

მაკბეტი: შენ ხომ მაგას მე ვერ დამაბრალებ! რისთვის მიქნევ მაგ სისხლიან თავს?

როსი: ავდგეთ ყველანი, უქეიფოდ შეიქმნა მეფე.

ლედი მაკბეტი: ისევ დაბრძანდით, მეგობარნო, ეგ ხშირად მოსდის  
ჩემსა მეუღლეს, - სიყრმიდანვე დასჩემებია.

გთხოვთ დაბრძანებას. ეგე სნება წუთიერია;

გამობრუნდება ამ წამსავე. თუ ჩააცივდით,

ძალიან იწყენს, სენი უფრო გაუმწვავდება.

მიირთვით რამე, ნუ უყურებთ. - კაცი არა ხარ?

მაკბეტი: კაცი ვარ, მაშა და ფრიადაც გულადი კაცი,

რომ შევცქერივარ ამ სანახავს, რომელიც თვითონ

ტარტაროზსაც კი შეჰზარავდა.

ლედი მაკბეტი: არა გრცხვენიან?

ეგ სურათია შიშისაგან შემოხაზული

იმ ჰაერში მსრბოლ ხანჯლის მსგავსად, რომელმაც ვითომ

დუნკანისაკენ გზა განიშნა. ეგ რიდი, ძრწოლა

ნამდვილის შიშის მიმბაძავნი უფრო შვენიან

დედაკაცისგან ბუხრის ცეცხლთან მოთხრობილ ამბავს,

დიდი-დედისგან კვერ-დაკრულსა. სირცხვილი არის!

გამტერებული რად ხარ აგრე? სკამს არ უცქერი,  
სხვას ხომ არაფერს!

მაკბეტი: ნახე ერთი, აბა, შეჰხედე!

ახლა რას იტყვი? - რაო, მე რა! რაკი თავს იქნევ,  
სათქმელიცა სთქვი. თუ კუბონი და სამარენი  
უკან ჰგზავნიან დამარხულებს, ძეგლებს დავეხსნათ  
და კუბოს ნაცვლად დავუმზადოთ სვავის გულ-გვამი.  
(აჩრდილი გაქრება)

ლედი მაკბეტი: გონება შიშმა დაგიკარგა?

მაკბეტი: მე ვნახე იგი ისე, როგორც რომ შენ მე მხედავ.

ლედი მაკბეტი: ვაი, სირცხვილო!

მაკბეტი: სისხლი უწინაც დაქცეულა, ძველს დროებაში,  
ვიდრე კანონმა მოარჯულა კაცთა ზნეობა.

მასუკანაც კი ბევრი კაცთ-კვლა მომხდარა თურმე  
სმენად საშიში. იყო დრო რომ, რაკი ტვინს კეფით  
გადმოუნთხევდნენ, მოკვდებოდა და ყოველივე გათავდებოდა.  
ახლა კია მკვდრეთით დგებიან

ოცგან დაჭრილნი სასიკვდილოდ და სკამს გვართმევენ.

კაცის მოკვლაზედ ეს უფროდაც საზარო არის.

ლედი მაკბეტი: ბატონო ჩემო, უთქვენობას გრძნობენ სტუმარნი.

მაკბეტი: არ დამავიწყდა! - მეგობრებო, ჩემთვის ნუ სწუხართ:

ეს უცნაური სენი მჭირს მე; ვინც კარგად მიცნობს,  
არაფრად აგდებს. აბა, მე თქვენს სადღეგრძელოს ვსვამ.

აწ კი დავჯდები. - ღვინო, ღვინო! კარგად აავსეთ. -

ვისურვებ თქვენთვის სიხარულსა და ვადღეგრძელებ  
ძვირფასს მეგობარს ჩვენსას ბანქოს, ჩვენთან არ დამსწრეს.

ოჰ, ნეტავი კი ის აქ იყოს. ვსვამ მე საერთო სადღეგრძელოსა;

გიწვევთ ყველას, რომ თქვენც მიირთვათ.

დიდებულნი: მადლობას გიძღვნით უმდაბლესად. ჩვენც გაიხლებით.

(აჩრდილი კვალად შემოდის)

მაკბეტი: იქით! თვალთაგან მიმეფარე! მიწამ ჩაგმალოს!

შენს ძვლებში ტვინი აღარ არის, სისხლიც ცივი გაქვს  
და მხედველობაც აკლია შენს ბრჭყვიალა თვალებს.

ლედი მაკბეტი: ჩვეულებრივი ამბავია, სხვა არაფერი.

ყურს ნუ დაუგდებთ, მეგობარნო; მხოლოდ მას ვწუხვარ,  
მხიარულება მოგვეშალა.

მაკბეტი: რაც კი კაცს ძალუმს,

მეც ყველაფერი შემიძლიან. მოდი შენ ჩემზედ

თუნდა რუსულის ბანჯგვლიანის დათვისა სახედ,

თუნდა ვით მარტორქა შეჭურვილი, ანუ ვით ვეფხი

ჰირკანიისა, - რაც სახე გსურს, იგი მიიღე,

ოღონდ ეგრე ნუ მეჩვენები და ჩემთა ძარღვთა

შეუკრთობელთა შიშს ვერ მოგვრის შენი დანახვა.  
თუნდა გაცოცხლდი, ტრიალ მინდორს ხმალში გამიხმე,  
და თუ შევშინდე, დაგემალო, დამდე სახელი  
პატარა ქალის ტიკინისა. იქით! გამშორდი,  
საზარო ჩრდილო, მოჩვენებავ დამცინავ სახით!  
იქითა-მეთქი! (აჩრდილი გაქრება) აი აგრე, რაკი წავიდა,  
კვალად კაცი ვარ. გთხოვთ, დაბრძანდეთ.  
ლედი მაკბეტი: მაგ უცნაურის ალეღვებითა მთლად მოგვისპე მხიარულება,  
ტკბილი ნადიმი მოგვიშალე.  
მაკბეტი: ეს სანახავი  
ღრუბლების ჩრდილი როდი არის, რომ გადგვეფაროს  
და ალეღვება არ შეგვემჩნეს. ჩემი ბუნება  
მეუცხოება მე თვითონვე, როდესაც ვფიქრობ,  
რომ ამ ამბების შემაცქერალთ ღაწვთა სიწითლე  
ჩვეულებრივი შეგრჩენიათ და მე კი შიშით  
ნაცრისფრად ვარ ალესილი.  
როსი: რა ამბებს ბრძანებთ?  
ლედი მაკბეტი: გთხოვთ, ნურას ეტყვით;  
ავად ხდება თანდათან უფრო  
და გამოკითხვას ბრაზზედ მოჰყავს. ყველას საერთოდ  
გიძღვნით სალამსა; ნუ მიჰხედავთ დათხოვნის წესსა,  
ერთად მიბრძანდით.  
ლენოქსი: ღმერთმა მოგცეთ მშვიდობის ღამე  
და განკურნება სწრაფი მაგათ დიდებულებას.  
ლედი მაკბეტი: თქვენ ყოველთათვის კეთილ ღამეს ვინატრი მეცა.  
(გადიან ყველანი მაკბეტისა და ლედი მაკბეტის გარდა).  
მაკბეტი: სისხლი მოჰყვება... ამბობენ სისხლს სისხლი მოსდევსო!  
მომხდარაო რომ ქვა შეძრულა, ხეს სიტყვა უთქვამს  
და ჭილყვავ-ყორანთ შემწეობით გაუმხელიათ  
მკითხავთ ბნელაში მიმალული სისხლის-დამღვრელი. -  
რა დროა ახლა?!

ლედი მაკბეტი: ებრძოლება ღამე განთიადს.  
მაკბეტი: მაშ მაკდუფს არ სურს, რომ დაესწროს ჩვენს ნადიმობას?  
ლედი მაკბეტი: მოწვევის კაცი გაუგზავნე?  
მაკბეტი: სხვა გზით შევიტყე.  
მაგრამ გავგზავნი კაცსაც მალე და იქ მივუჩენ.  
მე ყველას სახლში მოსყიდული ჯაშუშები მყავს.  
ხვალ იმ გულთმისან დებთან წავალ, წავალ ადრიან...  
უნდა ყოველი ვათქმევინო, არ მოვეშვები,  
არა, მაგნე გზას, ცუდზე ცუდიც რომ ჩამაგონოს.  
უნდა შემიწყოს ყველამ ხელი, ისე ჩავიფალ  
მე ახლა სისხლში, რომ გასვლა თუ არ მოხერხდება,

გამობრუნება არა ნაკლებ სამნელო არის.  
თავში უცხო რამ ფიქრნი მომდის, ხელთ სთხოვენ შველას  
და უსინჯავად აღსრულებას საჭიროობენ.  
ლედი მაკბეტი: შენ გეჭირება ძილი, შემწე ბუნების ქმნილთა.  
მაკბეტი: მაშ წამოდი და დავიძინოთ. ეს უცნაური  
თავდავიწყება გამოუცდელ შიშისგან მომდის.  
საქმე სიმტკიცეს მოგვიპოებს, გამოცდას შეგვძენს.  
(გადიან)

სურათი V

ტრიალი მინდორი

(ჰქუხს. სამი კუდიანი შემოდის და წინ ჰეკათა შეეყრება)

პირველი კუდიანი: რაო, ჰეკათა, რად ხარ აგრე განრისხებული?

ჰეკათა: არ მაქვს მიზეზი, ბაიყუმებო,

განა რისხვისა? ურცხვნო, ლირფებო!

როგორ გაბედეთ თქვენ მაკბეტთანა

სიკვდილ-სიცოცხლის სჯა-გამოცანა?

და მე, უფროსი თქვენთა გრძნებათა,

მომგონი ყოველ ბოროტ ვნებათა,

არ მიხმეთ, წილი მეც შემემძინა

და ჯადოს ძალა მეჩვენებინა!

ცუდი ეს არის, რომ გარჯა თქვენი

უქმია, ფუჭი და მოსაწყენი:

თქვენ დაეხმარეთ კერპ კაცსა, ავსა,

ყველას შეგწირავთ ის თავის თავსა.

აწ შეინანეთ, აქერონს წადით,

იმის ნაპრალში ხვალ დილით დამხვდით;

იქ მოვა იგი ბედის საცნობლად,

თქვენც მოამზადეთ ჭურჭელი ბლომად:

გრძნებანი, ჯადო და სხვა მანქანა,

მე კი საქმე მაქვს ახლა სხვაგანა,

საქმე სამძიმო და საზარელი,

შუადღის წინად მოსახდენელი:

უნდა ჰაერში ავფრინდე სწრაფად,

იქ ბუღის წვეთსა ხელს ვტაცებ მარდად;

იგი ჰკიდია მთვარისა კუთხეს

და არ დავუშვებ, რომ ძირს დაეცეს.

იმ ბუღს აორთქელას დავუწყებ გრძნებით,

გავაჩენ ლანდებს მე ხელოვნებით;

ის ლანდნი იმას თვალებს აუბმენ

და მოტყუებით სრულად დაღუპვენ.

წერას, სიკვდილს არ შეეპოება,

იმედი მეტად განუცხოვლდება;

დაჰკარგავს ჭკუას, რიდსა და რწმენას,  
შეეფეთება მრისხანე ზენას  
და ყველამ იცით, გულდაჯერება  
ძნელად თუ კაცსა ეპატიება.  
(მოისმის მუსიკა და გარედან ხმა: “აქ მოდი აქა! აქ მოდი აქა!”)  
სსუ! მიძახიან: პაწია სული  
მელის ბურუსში გამოხვეული.  
(გადის)

## სურათი VI

ფორესი. ოთახი სასახლეში  
(შემოდინა ლენოქსი და ერთი დიდებული)  
ლენოქსი: ჩემის წინანდელ ლაპარაკით მე მსურდა მხოლოდ,  
მიხვედრილიყავ; აწ შენ იცი, რასაც დაასკვნი.  
კიდევ და კიდევ იმას ვამბობ, რომ უცნაურად  
მოხდა ეს ყველა: სიბრალული აღემრა მაკბეტს  
ქველის დუნკანის, - მკვდარი მართლაც საბრალისია.  
მამაცი ბანქოც მეტად გვიან მოგზაურობდა;  
ნება გაქვთ, რომ სთქვათ, ვითომც ფლენსს მოეკლას იგი,  
რადგანც გაიქცა, - გვიან ღამე კვლავ ნუ ივლიან.  
ვინ არ იტყვის, რომ მხეცობაა საძრწუნებელი  
დონალბენის და მალკოლმისგან მათის კეთილის  
მშობელის მოკვლა! საზარელი ამბავი არის.  
ვით სწუხდა მაკბეტ! ერთგულებით გამხეცებულმა  
როგორ აჰკუწა ის ორნივე დამნაშავენი,  
საჭმლის მონანი, ძილისაგან დატყვევებულნი!  
ბრძნულად მოიქცა, კეთილშობილს კაცს ვით შეჰფერის.  
მართლაც, ვისაც კი გული ერჩის, ვინ მოითმენდა,  
რომ მოესმინა მათგან ბრალის უარის-ყოფა.  
ყოველისფერი კარგადა ჰქმნა და მე მგონია,  
დუნკანის შვილნი ხელთ რომ ეგდო, - ღმერთმა კი ნუ ჰქმნას -  
აგრძნობინებდა, თუ რა მოსდევს მამის მოკვლასა.  
ფლენსსაც არას დააკლებდა. ახლა კი ჩუმად,  
თორემ მაკდუფსა კადნიერის ლაპარაკისთვის  
და მისთვის, რომ არ გამოცხადდა მტარვლის ნადიმზედ,  
აჰყრია მაგის მოწყალება. თქვენ ხომ არ იცით, საით წასულა.  
დიდებული: დუნკანის ძე, რომელს მტარვალმა  
მემკვიდრეობა ჩამოართვა, ინგლისში სცხოვრობს  
ღვთისნიერ მეფის ედგარის კარს ისეთ პატივით  
და დიდებით, რომ მუხთალ ბედს არ ამჩნევინებენ.  
მაკდუფიც თურმე იქ წასულა, რომ შეევედროს  
იმ წმიდა მეფეს, დახმარება რამ გაგვიწიოს,  
გამოგვიგზავნოს ნორტუმბერლანდ და გმირი სივარდ,

რათა მათ შველით და თვით მეფის მფარველობითა  
კვალად შევირგოთ ლუკმა-პური, კვლავ ძილი შევძლოთ,  
სუფრა-ნადიმი მოვაშოროთ სისხლიან დანებს,  
ერთგულების წილ დაგვხვდეს ისევ მოწყალე გული, -  
შეგვძინოს იგი, რასაც მწარედ დაგვანატრულეს.

ამ ამბავს მაკბეტ ბრაზხედ თურმე მოუყვანია  
და ომისათვის შესდგომია მომზადებასა.

ლენოქსი: მაკდუფთან კაცი არ გაჰგზავნა?

დიდებული: გაჰგზავნა, მაგრამ გადაჭრით ეთქვა,

არ მოვალო. მოღრუბლულ შიკრიკს

უეცრად ზურგი შეექცია, წაეტუტუნა,

თითქო უნდოდა იმისი თქმა: “შეინანებო

იმ საათს, როცა ეგ პასუხი ენით წარმოსთქვი”.

ლენოქსი: უნდა გაფრთხილდეს მამ მაკდუფი, ჭკუა იხმაროს

და შორს წავიდეს ამ ქვეყნიდან. - ოჰ, ნეტა იმას

წინამძღვრად წმიდა ანგელოზი აღუჩნდებოდეს,

რათა აუწყოს ინგლისს ყველა. ეგების ღმერთმა

თავისი მადლი კვლავ მოჰფინოს წყეულის ხელში

ტანჯულ ქვეყანას.

დიდებული: თან გავატან მეც ჩემს ლოცვასა.

(გადიან)

მოქმედება მეოთხე

სურათი I

გამოქვავებული. შუაში ქვაბი დუღს. ჰქუხს.

(შემოდის სამი კუდიანი)

პირველი კუდიანი: სამჯერ იკნავლა ჭრელმა კატამა.

მეორე კუდიანი: სამჯერ და ერთხელ ხმა მისცა ზღარბმა.

მესამე კუდიანი: და დედაბერიც ჰკივის, დროაო.

პირველი კუდიანი: აბა, ქვაბს გარსა შემოვუაროთ,

შიგ მოწამლული წელები ვყაროთ. -

გრძნების ჭურჭელში ჩადი პირველი,

გომბეშო შენა, რაკი თვე მთელი

ცივის ქვის ქვეშა იწექ, გეძინა

და გესლი კანით ოფლად გეძინა.

ყველანი: გაგვიორკეცდი შრომავ და ჯაფავ,

გაფიცხდი ცეცხლო, ადუღდი ფაფავ!

მეორე კუდიანი: ჭაობში მზუდავ მცურავის სუკო,

იხარშე ისე, რომ ჩაიხრუკო;

ბაყაყის ცერო და ხვლიკის თვალო;

დამურას ბურტყლო; ჩამონათალო

ძალლის ენისა; გველის ნეშტარო,

ჯოჯოს ფეხო და ჭოტის ფრთა-მხარო

აქაფ-ადუღდით ჯოჯოხეთურად,  
რომ გასჭრას ჯადომ უფრო ერთგულად.  
ყველანი: გაგვიორკეცდი შრომავ და ჯაფავ,  
გაფიცხდი ცეცხლო, ადუღდი ფაფავ!  
მესამე კუდიანი: მგლის ღოჯო, ქერქო გველემპისა,  
მუმიავ ბებრის დედაკაცისა,  
ზღვის ზვიგენისა ხახავ, ტუჩ-კბილო;  
კონიოს ძირო, ღამე მოთხრილო;  
ღვთის მგმობ ურის ღვიძლო და თხისა  
ბალღამო; შტოო ურთხელის ხისა,  
მთვარ-დაბნელებას ჩამოტეხილო;  
თათრის ტუჩო და ოსმალოს ცხვირო;  
თითო პაწია დამღვრჩალ ბავშვისა,  
ურცხვის გომბიოს გავარდნილისა, -  
აბა, ეს ფაფა გახადეთ სქელი,  
თუნდ მიიმატეთ ფოცხვერის წელი.  
ყველანი: გაგვიორკეცდი შრომავ და ჯაფავ,  
გაფიცხდი ცეცხლო, ადუღდი ფაფავ!  
მეორე კუდიანი: მაიმუნისა სისხლი აპკურეთ  
და გრძნებას ძალა მით შეუსრულეთ. (შემოდის ჰეკათა)  
ჰეკათა: ბარაქალა თქვენ! მაგ შრომისთვის მიძღვნია ქება  
და საშოვარში ყველას თავის წილი ერგება.  
ქვაბის გარს, აბა, იწყეთ სიმღერა,  
რომ ალქაჯებმა გაჯობონ ვერა;  
რაც შიგა ჰყრია, სცადეთ ეგ ჯერა.  
(მუსიკა და სიმღერა: “შავნი სულნი!” და სხვ. ჰეკათა გადის)  
მეორე კუდიანი: მე მითამაშებს როგორღაც ცერი,  
ბოროტი მოდის აქ, კაცის მტერი.  
გავულოთ კარი, ვიღაცა არი. (შემოდის მაკბეტი)  
მაკბეტი: თქვენ, შუალამის იდუმალნო და ბნელნო სულნო,  
აქ რას აკეთებთ?  
ყველანი: საქმეს, რასაც არ სძევს სახელი.  
მაკბეტი: მაგ თქვენს საფიცარს გაფიცებთ მე, მითხარით სწორედ  
და საპასუხო რა გზითაც გსურთ, იმ გზითა სცანით:  
ბუდით აუშვით თუნდ გრიგალნი და ეკლესიებს  
ზედ მიუსიეთ; თუნდ მღელვარე ზვირთებსა ზღვისას  
დაალეწინეთ გემ-ხომალდნი, შთაანთქმევინეთ;  
განადგურეთ მარცვლით სავსე პურის თავთავნი;  
ხენი მიწიდან ამოფხვერით; ციხე-დარბაზნი  
თავს დაანგრეთ თვისთა მცველთა; თუნდ პირამიდნი  
და სასახლენი დაიყვანეთ მათ სამირკვლამდე;  
ყოვლი ნასახი ბუნებისა მოსპეთ სრულიად,

ვიდრე თვისითვე ნგრევის ძალა არ მისუსტდება, -  
ოღონდ მითხარით, რასაც გკითხავთ, პასუხი მიგეთ.

პირველი კუდიანი: სთქვი.

მეორე კუდიანი: გვკითხე.

მესამე კუდიანი: გეტყვით.

პირველი კუდიანი: ის გიჯობს, რომ ჩვენგან გაიგო,  
თუ უფროსთაგან?

მაკბეტი: მოუწოდეთ, ვნახო ისინიც.

პირველი კუდიანი: თავის ცხრა გოჭი რომ გადაჰყლაპა,  
იმ ღორის სისხლიც ჩაასხით აბა,

და ალში თავი უკარით ქონსა,

საღრჩობელის ხეს გამონაჟონსა.

ყველანი: მოდი თუნდ ზეცით, თუნდა ქვესკნელით,

გვაჩვენე შენი ხელობა, გელით.

(ჰქუხს. მიწიდან ამოდის მოჩვენება შეჭურვილის თავისა)

მაკბეტი: მითხარ შენ, ძალო უცნაურო...

პირველი კუდიანი: იცის, რაც გინდა.

ყური დაუგდე შენ მას მხოლოდ, ნურარას იტყვი.

მოჩვენება შეჭურვილი თავისა: უფრთხილდი მაკბეტ, მაკბეტ, მაკბეტ, მაკდუფს  
უფრთხილდი.

უფრთხილდი თენსა ფაიფისას... მივდივარ... კმარა...

(მიწაში ჩავა)

მაკბეტი: რაც უნდა იყო, მადლსა გწირავ გაფრთხილებისთვის, -

შენ ამიჟღერე მაგ თქმით სიმნი მოშიშობისა.

კიდევ ერთს გკითხავ...

პირველი კუდიანი: ეგ ბრძანებას არ არის ჩვეულ,

აი მეორე, იმ პირველზედ უფრო ძლიერი.

(ჰქუხს. მიწიდან ამოდის მოჩვენება სისხლიანის ბავშვისა)

მოჩვენება სისხლიანის ბავშვისა: მაკბეტო, მაკბეტ, მაკბეტ!..

მაკბეტი: სამი ყური რომ მებას ორის მაგივრად,

სამსავ მხოლოდ შენ მოგაპყრობდი.

მოჩვენება სისხლიანის ბავშვისა:

იყავ მოსისხლე, გამბედავი, შეუპოვარი,

კაცის ძალს ზიზღით დაჰყურებდე, რადგან ვერავინ

დედაკაცისგან შობილი შენ ვერარას გავნებს.

მაკბეტი: მაშ ცოცხალ იყავ, მაკდუფ, შენგან რაღას ვშიშობდე!

მაგრამ ისა სჯობს, რომ რწმუნება გავიორკეცო,

წინდი მოვთხოვო ჩემს ბედ-იღბალს; უნდა მოკვდე შენ,

რომ ვუთხრა ჩემ შიშს ფერწართმეულს, მატყუებ-მეთქი

და ელვა-ჭექამ ტკბილი ძილი ველარ დამიფრთხოს. -

(ჰქუხს. ამოდის მოჩვენება გვირგვინოსანის ბავშვისა, რომელსაც ხელში შტო უჭირავს)

ეს რაღა არის, რომ ჰგავს მეფეთ შთამომავალსა?



დიდებულების ნიშნად თავზედ გვირგვინი ადგას.

ყველანი: უსმინე მხოლოდ, ნურას ეტყვი.

მოჩვენება გვირგვინოსანის ბავშვისა: იყავ ამაყი,

ლომებრ მამაცი, შფოთ-ამბოხის ნურა გენაღვლის:

არ დამარცხდება მაკბეტ, ვიდრე დიდ ბირნამის ტყე

მთაზედ აყრილი არ დაიძვრის თვის ადგილიდან

და არ წამოვა დუნსინანის მაღალ მთისაკენ. (ჩავა)

მაკბეტი: ეგ ხომ არასდროს არ მოხდება: ტყეს ვინ რას ეტყვის,

ან ხეს ვინ მოსთხოვს მიწას ჩაკრულ ფესვების ახსნას? -

ტკბილნო იმედნო! ფრიად კარგი! ხელი არ გასძრა

მაშ შენც, ამბოხო, ბირნამის ტყის მიწით დაძვრამდე

და ტკბილად განვლის მეფე მაკბეტ თვის ცხოვრების დღეთ,

რომ დანიშნულ დროს მიაბაროს სული სიკვდილსა. -

მაგრამ ერთ რასმეს კიდევ გკითხავთ გულის ძგერითა

და თუ ძალუმს თქვენს ხელოვნებას, პასუხი მიგეთ:

მეფედ იქნება ვინმე ბანქოს შთამომავალი

აქ როდისმე, ამ სამეფოში?

ყველანი: მეტის შეტყობას ნულარა ცდილობ.

მაკბეტი: უნდა-მეთქი, უნდა შევიტყო!

თუ უარს მეტყვით, საუკუნოდ წყეულ იყავით; -

ის ქვაბი რაღად ჩადის ქვევით? ეს რა ხმა არის?

(სალამურის ხმა)

პირველი კუდიანი: ჩქარა გამოჩნდით!

მეორე კუდიანი: გამოცხადდით!

მესამე კუდიანი: გამო, გამოჩნდით!

ყველანი: ვითა აჩრდილი ეჩვენეთ თვალსა

და გაჰქრით, რა გულს ჩაუსხავთ შხამსა.

(გამოჩნდება რვა ხელმწიფე, რომელნიც თითო-თითოდ

გაივლიან. უკანასკნელს ხელში სარკე უჭირავს.

ბანქოს აჩრდილი უკან მოსდევს)

მაკბეტი: ბანქოს აჩრდილის მსგავსი ხარ შენ, წა, დაილუპე!

ეგე გვირგვინი თვალთ გუგას მწვავს! - და შენ, მეორე

შუბლსხივოსანო, შენი თმაც ჰგავს პირველის თმასა!

მესამეც იმათ მსგავსი არის... ოჰ, ბაიყუმნო!

რისთვის მაკრთობთ ამ სანახავით?.. მეოთხეც კიდევ?

თვალნო დადექით! განა ქვეყნის დასასრულამდე

არ მოედება ამ აჩრდილთ ბოლო?... კიდევ და კიდევ!

ეს მეშვიდეა? აღარ მინდა, აღარ ვუყურებ...

მაგრამ შეჰხედეთ, მერვე მოდის, ხელში აქვს სარკე,

რაშიც ბევრი სხვა მსგავსი მოჩანს. ზოგიერთ მათგანს

ბურთი უპყრია ორეული და სამი სკიპტრა.

ოჰ, რა საზარელს ამბავს ვხედავ! - ახლა კი მჯერა, -

სისხლით გასვრილი ზანქო აგერ როგორ დამცინის  
და მითითებს თვის შთამომავალთ. ასე არ არის?  
პირველი კუდიანი: ეგრეა, მაგრამ გვითხარ შენც ესა,  
რამ გააშტერა მაკბეტი დღესა? -  
დებო, ვეცადოთ გავურთოთ გული,  
ვაჩვენოთ ჩვენი ხელობა სრული:  
მე ვეტყვი ქარსა, დაგვატკბოს ხმებით,  
თქვენ ძველ ფერხულში მარდად ჩაებით;  
მაშინ ირწმუნებს ხელმწიფე დიდი,  
რომ ჩვენ გვაქვს მისი კრძალვა და რიდი.  
(მუსიკა. კუდიანები ცეკვაობენ და მერე ჰქრებიან)  
მაკბეტი: რა იქნენ, გაჰქრენ? ოჰ, ეს ჟამი ბედშავი იყოს,  
სამარადისოდ დაწყევლიდი დროთა სიაში! -  
ვინა ხართ მანდა, აქეთ მოდით. (შემოდის ლენოქსი)  
ლენოქსი: რას მიბრძანებდით, ჩემო ხელმწიფე?  
მაკბეტი: გულთმისანი დები არ ნახე?  
ლენოქსი: მე არაფერი არ მინახავს.  
მაკბეტი: განა შენ გვერდით არ გაგიარეს?  
ლენოქსი: არავის არ გამოუვლია.  
მაკბეტი: ჭირმა წაიღოს ის ჰაერი, რითაც იგინი  
ყველგან დაძრწიან; წყეულ იყოს, ვინც კი მათ ენდოს! -  
ცხენის ჭენების ხმა მომესმა... ვინ იყო ნეტა?  
ლენოქსი: ორნი, თუ სამნი უცხო კაცნი! მათ მოიტანეს  
იმის ამბავი, რომ მაკდუფი ინგლისს წასულა.  
მაკბეტი: ინგლისს წასულა? გაქცეულა?  
ლენოქსი: დიად, ბატონო.  
მაკბეტი: დროვ, შენ წამართვი მსხვერპლი ჩემის მრისხანებისა;  
ჰკვად გარბენილ აზრს ასრულებაც თან უნდა მოჰყვეს,  
თორემ გაჰქრება უნაყოფოდ. მაშ ამას იქით  
განზრახვას ხელებს მივაშველებ; აი ახლაც კი  
დავაგვირგვინებ საქმით ფიქრსა, აღარ ვაყოვნებ:  
ციხეს ავიღებ მაკდუფისას, ფაიფს დავიპყრობ,  
ხმაღზედ ავაგებ იმის ცოლ-შვილს, ბედშავ ნათესავთ.  
არ ვარგა კვებნა სულელური: ვიდრე განზრახვა  
განელდებოდეს, საქმედ უნდა ვაქციო იგი.  
დავეხსნათ რაღაც მოჩვენებებს... ახლა ის კაცნი  
სად უნდა იყვნენ? წამიყვანე მეც იმათთანა.  
(გადიან)

## სურათი II

ფაიფი. ოთახი მაკდუფის ციხე-დარბაზში  
(შემოდინა ლედი მაკდუფი, ამისი ვაჟიშვილი და როსი)  
ლედი მაკდუფი: რისთვის გაიქცა სამშობლოდან, რა ჰქმნა ისეთი?

როსი: გთხოვ, მოთმინება იქონიო.

ლედი მაკდუფი: იმას სად ჰქონდა ეგ მოთმინება,  
რომ გიჟივით მირბოდა სხვაგან!

თუ საქმე არა, მორიდება გვხდის მუხანათად.

როსი: რა იცი, ჭკუით მოუვიდა, თუ მორიდებით!

ლედი მაკდუფი: როგორ თუ ჭკუით! ცოლი, შვილი, სახლი, დიდება,  
ყველა დასტოვა და თვით სადღაც გარდაიხვეწა!

მოკლებულია იგი სრულად ბუნებურს გრძნობას

და არ აქვს ჩვენი სიყვარული. ბელურა ჩიტიც,

ყველა ფრინველებზედ უმცირესი თვის საბუდარში

ბარტყებისათვის თავს არ ზოგავს და თვით ჭოტს ებრძვის.

შიშს ვხედავ მხოლოდ, სიყვარული აქ არსადა სჩანს;

სად არის ჭკუა, რაკი ჭკუას თვითვე ექცევა!

როსი: ჩემო ძვირფასო ნათესავო, გთხოვ დამშვიდებას.

შენი მეუღლე ჭკვიანია, კეთილშობილი,

გონივრად მსჯელი და ამ დროის აურზაურსაც

მიხვედრილია. მეტის თქმასა ველარა ვხედავ:

მძიმეა, როცა კაცსა სთვლიან მოღალატედა

და თვითც არ იცის რა მიზეზით; ვშიშობთ რაღასაც

და რას ვშიშობთ, ვერ გაგვიგია. აქეთ და იქით

მღელვარე ზღვაზედ დავქანაობთ და ვეხეთქებით. -

ახლა წავალ და ისევ მალე გამოვბრუნდები. -

წამხდარი საქმე ანუ უნდა მოისპოს სრულად,

ან დაუბრუნდეს თვის დასაბამს, თვის სახედ იქცეს. -

ჩემო ლამაზო ნათესავო, ღმერთი გწყალობდეს!

ლედი მაკდუფი: მამა ჰყავს ამ ბავშვს, მაგრამ მაინც უმამო არის.

როსი: უნდა წავიდე, არას მარგებს აქ დაყოვნება,

მე დავისჯები და თქვენ კია ვერ განუგეშებთ.

მშვიდობით იყავ! (გადის)

ლედი მაკდუფი: მამაშენი მომკვდარა თურმე.

ახლა რას იზამ შენ, ბიჭიკო, როგორ იცხოვრებ?

შვილი: ფრინველებივით, დედაჩემო.

ლედი მაკდუფი: ჭიალუას სჭამ?

შვილი: რასაც ვიშოვი, ფრინველივით, მით ვისაზრდოებ.

ლედი მაკდუფი: საბრალო ჩიტო, მერე მითხარ, არ გეშინიან

შენ ან ბადესი, ან ხაფანგის, ან კაკანათის?

შვილი: პატარა ჩიტი ვის რად უნდა, რად დამიჭერენ,

და მამაჩემიც არ მომკვდარა, ტყუილად ამბობ.

ლედი მაკდუფი: მკვდარია-მეთქი, გეუბნები, რას იქმ უმამოდ?

შვილი: შენ უქმროდ რას იქმ?

ლედი მაკდუფი: ქმარს ბაზარში თუნდ ოცს ვიყიდი.

შვილი: რაკი იყიდი, ისევ ისე მალე გაჰყიდი.

ლედი მაკდუფი: საბრალო ბავშვო, მაგ ტიტინით რა მართალს ამბობ!

შვილი: დედა, მამაჩემი განა მუხანათი იყო?

ლედი მაკდუფი: მუხანათი იყო, შვილო.

შვილი: მუხანათი რა არის?

ლედი მაკდუფი: ვინც ფიცსა სტეხს, ვინც ტყუილად ფიცულობს, მუხანათი იმასა ჰქვია.

შვილი: მაშ ვინც ტყუილად ფიცულობს, ყველა მუხანათია?

ლედი მაკდუფი: სწორედ მუხანათია და ჩამოსაღრჩობიც.

შვილი: მაშ ვინც ტყუილად ფიცულობენ, ყველანი უნდა ჩამოაღრჩონ?

ლედი მაკდუფი: ყველანი!

შვილი: ვინ უნდა ჩამოაღრჩოს მერე?

ლედი მაკდუფი: ვინა და პატიოსანმა კაცებმა.

შვილი: მაშ ვინც ტყუილად ფიცულობენ, სულელები ყოფილან, თორემ ისე ბევრნი არიან, რომ პატიოსან კაცებს ყველასა სცემდნენ და ჩამოაღრჩობდნენ.

ლედი მაკდუფი: ღმერთი იყოს შენი მფარველი, ჩემო ტიკტიკა: ერთი მითხარ, მამად ახლა ვილა გეყოლება?

შვილი: მამაჩემი რომ მართლა მკვდარი იყოს, შენ იტირებდი და თუ არ იტირებდი, იმის ნიშანი იქნებოდა, რომ მალე ახალი მამა მეყოლებოდა.

ლედი მაკდუფი: რაებს მიჰქარამ, პაწია ყბედო!

(შემოდის შიკრიკი)

შიკრიკი: დღეგრძელ იყავით, ქალბატონო!

თქვენ თუმც არ მიცნობთ,

მაგრამ მე კარგად ვიცი თქვენი დიდი ხარისხი.

ეს მაქვს სათქმელი, რომ ხიფათი მოგელით დიდი

და თუ უბრალო კაცის სიტყვას ძირს არ დაუშვებთ,

წადით აქედან, პატარებიც თან წაიყვანეთ.

სიმხეცე არის ჩემ მხრივ თქვენი ასე დაფრთხობა,

მაგრამ ახლოა უარესი კაცთ-მძვინვარება

თქვენს დასალუჰად მომართული. ღმერთი გფარვიდეთ!

ველარ ვაყოვნებ ამაზედ მეტს. (გადის)

ლედი მაკდუფი: საით გავიქცე?

ან რა ბოროტი მოვიქმედე? მაგრამ ხომ ვიცი,

რომ ამ ბიწიერ ქვეყანაში ვცხოვრობ, ვტრიალებ,

სადაც ბოროტის მომქმედს ხშირად ქებას უძღვნიან

და კარგის ჩამდენს დასწამებენ საშიშ სიგიჟეს;

მაშ დედაკაცის ფარ-ხმალით თავს რიდასთვის ვიცავ

და ვიძახი, რომ ბოროტი არ მომიქმედნია. -

(მკვლელები შემოდინ)

ეს ვინ არიან! რა სახე აქვთ?

პირველი მკვლელი: გვითხარ, სად არის შენი მეუღლე?

ლედი მაკდუფი: იმედი მაქვს, წყეულს ალაგას

არსად იქნება ისეთსა, რომ შენ შეგეფეთოს,  
პირველი მკვლელი: მუხანათია შენი ქმარი.  
შვილი: სტყუი, მიჰქარავ, ჯაგარ-თმიანო ავაზაკო!  
პირველი მკვლელი: ოჰ, შენც ხმას იღებ,  
წუწკო წიწილო ღალატისავ! (ხანჯალს ჩასცემს)  
შვილი: ოჰ, მომკლა, მომკლა!  
გაიქეც, დედა, გვედრები, შენს თავს უშველე. (კვდება)  
(გადის ლედი მაკდუფი ყვირილით: “დაგვხოცეს, დაგვხოცეს!” მკვლელები უკან  
მისდევენ)

### სურათი III

ინგლისელთ ხელმწიფის სასახლის კარმიდამო  
(შემოდინ მალკოლმი და მაკდუფი)  
მალკოლმი: მოვნახოთ ცალკე კუთხე სადმე და მწუხარე გულს  
შვება რამ მივცეთ ცრემლის დაღვრით.  
მაკდუფი: სჯობს, ხელი ვტაცოთ გალესილ ხმალსა  
და ვით კაცურ კაცსა შეჰფერის,  
მცველად გავუხდეთ ჩვენს უფლებას ფეხქვეშ გათელილს.  
ყოველს დილაზედ ისმის ახალ ქვრივთა ქვითინი,  
ტირილი ახალ ობლებისა, ახალ ვაების  
ღალადი სწვდება თვითონ ზეცას; ისიც ბანს აძლევს  
და ჭექა-გრგვინვით იმეორებს მწუხარე ხმებსა,  
თითქო სტანჯავდეს მასაც ტანჯვა შოტლანდიისა.  
მალკოლმი: ვიგლოვებ ყველას, რაც კი მჯერა; მჯერა ყოველი,  
რაც სწორედ ვიცი და როცა დრო შემიწყოფს ხელსა,  
ვეცდები მრუდე საქმის შველას, გასწორებასა.  
იქნება მართლა ეგრეც იყოს, როგორც მიაბზე,  
მაგრამ მტარვალი, ვის სახელის ხსენება მარტო  
ენას გვიწყლულებს, პატიოსნად მიაჩნდათ ერთ დროს;  
შენც ხომ გიყვარდა და ჯერ შენთვის მას არ უვნია.  
მე ყმაწვილი ვარ, მაგრამ ჩემით შენ შეგიძლიან,  
იმის წყალობა შეიძინო; ჭკვით მოიქცევი,  
თუ სუსტ, საბრალო და უმანკო ბატკნის შეწირვით  
მრისხანე კერპის გულს მოიგებ.  
მაკდუფი: მე მოღალატე არ ვარ, ბატონო.  
მალკოლმი: მაკბეტი ხომ მოღალატეა  
და სათნო, კეთილ სულსა ძალუმს, გზას გადუხვიოს,  
რომ შეასრულოს მტკიცედ თავის უფლის ბრძანება.  
გთხოვ, მომიტევე; ჩემი აზრი შენის ბუნების  
შეცვლას ვერ შესძლებს; ანგელოზნი დღესაც ბრწყინავენ,  
თუმც უკეთესი იმათგანი პირქვე დაემხო.  
თუნდ მთლად ბოროტმა სათნოების სახე მიიღოს,  
თვით სათნოება არ დაჰკარგავს თავის იერსა.

მაკდუფი: გამოვესალმე ჩემს იმედებს.

მალკოლმი: იქნება მისთვის,

რომ მე ექვნი წინ დამხვდომოდა მისასალმებლად.

შენნი ცოლ-შვილი ვით ანდე იმ უკაცურობას,

შენნი ძვირფასნი საუნჯენი, მტკიცე საგანნი

სიყვარულისა უნახავნი როგორ დასტოვე?

გთხოვ, რომ საწყენად შენ ეს კითხვა არ მიიჩნიო

და გაფრთხილებას მიაწერო. შესაძლო არის,

სრულად მართალი იყო ჩემ ეჭვთ მიუხედავად.

მაკდუფი: ბარემ სისხლიდან დაიცალე, საბრალო მხარევ!

დამკვიდრდი მძლავრო მტარვალობავ, რადგან სიმართლე

შენ ვერაფერს ვერ შემოგბედავს! იხარე შენის

ბოროტებითა, ეგ დიდება მთლად შენ გაკუთვნეს. -

ხელმწიფის შვილო, გესალმები; შენ რომ გგონია,

არ ვინდომებდი მაგ საზიზღარ ქმნილებად ყოფნას

მთელ სამეფოსთვის, რომელიც აწ მტარვალს უპყრია,

აღმოსავლეთის სიმდიდრეც რომ სართად დაედოთ.

მალკოლმი: შეურაცხყოფად ნუ მიიღებ. შესაძლო არის

ბოლო მოელოს ჩემს ეჭვებსა. მე მჯერა იგი,

რომ ჩვენს ქვეყანას ქედს უხრიან მძიმე უღელქვეშ:

იქ გოდებაა და სისხლის ღვრა; ყოველ დღე და ჟამ

თითო იარა ემატება იმის ჭრილობას.

მჯერა აგრეთვე, რომ მრავალი ხელი აღიმჯრის

ჩემის უფლების აღსადგენად; ინგლისის მეფეც

ათასობითა უხვად მითმობს თვის უკეთესს ჯარს.

ეს ყველაფერი ასე არის, მაგრამ თუ მტარვლის

თავს ფეხქვეშ გავთელ, ან ავაგებ ჩემ ხმალის წვერზედ,

მაინც საბრალო ჩემს ქვეყანას ერგება წილად

თვით აწინდელზედ უმრავლესი ბიწიერება

და დაიტანჯვის სხვადასხვა გზით უფრო იმისგან,

ვისაც შეხვდება ხელმწიფება.

მაკდუფი: ვიზედა ბრძანებ?

მალკოლმი: თვითონ ჩემზედვე. ყოველგვარი ბიწი, ავი ზნე

ჩემს ბუნებაზედ ნამყნობია. როს გაიხარებს,

თვით შავი მაკბეტ სპეტაკ თოვლსა დაემსგავსება

და შედარებით ჩემს უსაზღვრო ბოროტებასთან

ჩემი ბედკრული ქვეყანა მას ბატკნად დასახავს.

მაკდუფი: თვით უსაზარლეს ჯოჯოხეთის ლეგიონებში

ისეთ სატანას ვერ ჰპოებთ, რომ ბოროტის ქმნითა

დაწყველილ მაკბეტს აღემატოს.

მალკოლმი: მე თანახმა ვარ;

ის მოსისხლეა, გარყვნილებით სავსე, ცრუ, ყალბი,

ძუნწი, უთმენი, შურიანი და გაჟღენთილი  
ყოველგვარ ცოდვით, რასაც კი სძევს სახელი ცალკედ,  
მაგრამ საზღვარი არა აქვს ჩემს ვნებათ-სიყვარულს:  
თქვენი ცოლები, ქალიშვილნი, დედანი, დანი  
სურვილის აუზს ვერა ღონით ვერ ამივსებენ;  
რაც უნდა მტკიცე ზღუდე დაჰხვდეს, ეს ავხორცობა  
ძალით გაანგრევს, რომ მომიკლას გულის წადილი.  
ასეთის ყოლას ისევ მაკბეტ გერჩიოთ მეფედ.  
მაკდუფი: ვნებათ-მიყოლა უსაზომო მტარვალობაა,  
კაცთ ბუნებაში ჩანერგილი. მაგის ბრალია  
ადრეულადა ბედნიერის ტახტების დაცლა  
და მრავალ მეფეთ ქვე-დამხობა; მაგრამ ნუ შიშობ,  
დაისაკუთრო, რაც გეკუთვნის. შენ შეგიძლიან  
უხვად უწილო შენს გულისთქმას კმაყოფილება  
და ზნეწმიდისა შეიძინო ხალხში სახელი.  
მსუბუქნი ქალნი ბევრი გვყავს ჩვენ და შენში, ვგონებ,  
ისეთი სვაფი არ იჯდება, რომ ყველა შთანთქას,  
ვინც მზად იქნება თვის ნამუსი შესწიროს შენსა  
დიდებულებას, ამ საქონლის შეძენის მსურველს.  
მალკოლმი: სიავით სავსეს ჩემს ბუნებას დასჩემებია  
მასთან სიძუნწე უძლომელი და ისე მძლავრი,  
რომ თუ მეფობა მეღირსა მე, დიდებულ გვართა  
ამოვჟღეჭ სრულად: ზოგსა იმის მამულისათვის,  
ზოგს მის ძვირფას თვალთ, ან სასახლის შესაძენადა.  
საშოვართ შოვნა სანელებელს მისცემს ჩემს მადას  
და უარესად სიმშობილს მომგვრის; მაშინ ავუტებ  
დავიდარაბას უსამართლოს თვით ერთგულთ, კეთილთ,  
რომ ჩემს ქონებას წავუმატო იმათ დაღუპვით.  
მაკდუფი: სიძუნწე უფრო ღრმად სჭრის კვალსა და მავნებელ ფესვს  
უფრო ღრმად იდგავს, ვიდრე ვნება ზაფხულებრ მოკლე.  
მაგ ბიწს მრავალი მეფე ჩვენი შემოკვდომია,  
მაგრამ მაგისიც ნუ გეშინის: ჩვენს შოტლანდიას  
ძალუმს მოგიკლას ეგ სურვილი, აგავსოს უხვად  
შენის საკუთარ ქონებითვე; ეგე ყოველი  
ასატანია სხვა სიკეთე როს ზედ დაერთვის.  
მალკოლმი: კიდევ ეგ არის, რომ სიკეთეს მოკლებული ვარ.  
თვისება მეფეთ შესაფერი: ვით გულწრფელობა,  
ზომიერება, მტკიცე პირი, კეთილი გული,  
სიმართლე, სიმხნე, მოწყალება, თავის სიმდაბლე,  
ღვთის სიყვარული, მოთმინება და სიმამაცე. -  
არარა მაქვს მე, მათ ნასახიც არ არის ჩემში.  
სამაგიეროდ ავკაცობა სხვადასხვაგვარი

გულს დამხვევია და არ ვზოგავ არაფერ ღონეს  
კმაყოფილების შესაძენად. მე რომ შემეძლოს,  
თანხმობის შარბათს ჩავასხავდი სრულად ჯოჯობხეთს,  
ავაქოთებდი მშვიდ ცხოვრებას და ქვეყანაზედ  
თვით ნიშანწყალსა ერთობისას მოვსპობდი სრულად.

მაკდუფი: ოჰ, შოტლანდიავ, შოტლანდიავ!

მალკოლმი: მითხარ მაშ ახლა,

ასეთი კაცი ღირსი არის სამეფო მართოს?

რაც ვთქვი, ისა ვარ.

მაკდუფი: ღირსიაო სამეფო მართოს?!

სიცოცხლის ღირსიც კი არ არის. საბრალო ერო!

სისხლით გასვრილი სკიპტრა მტარვალს უპყრია ხელში

და უსამართლოდ გბატონობს შენ; როს ეღირსები

შენთა სანატრელ დღეთა ხილვას, რაკი მემკვიდრე

კანონიერი შენის ტახტის თავის პირითვე

წუნს სდებს და მწარედ სწყევლის თავის გაჩენის დღესა.

სხვა მეფეთ შორის უწმიდესი მამა გყავდა შენ

და დედოფალი, დედაშენი, მუხლის თავებზედ

ლოცვით და მარხვით ლევდა მშვიდად ცხოვრების დღეთა.

მშვიდობით! რაც შენ შენზედ ავი დღეს ჩამოსთვალე,

შოტლანდიიდან განმდევნა მე. ოჰ, მკერდო ჩემო,

შენი იმედი აქ დასრულდა, ბოლო მოელო!

მალკოლმი: მაგ სულგრძელურმა აღელვებამ, ერთგულების შტომ

ჩემის სულიდან ამოჰხოცა ბნელი ეჭვები

და მამცნო შენი სიმართლე და პატიოსნება.

მაკდუფ, იცოდე, რომ მაკტები, იგი სატანა

მრავალ ამგვარის გზით ეცადა ჩემს ხელთ მოგდებას,

და წყნარი ჭკუა მშველის მხოლოდ თავი დავიხსნა

მეტისმეტ ჩქარის ნდობისაგან. მაღალი ღმერთი

მე და შენ შორის იყოს, - ახლავ გაბარებ ჩემს თავს

და უარსა ვყოფ დადებულ ბრალს ჩემგან ჩემზედვე.

ბუნებას ჩემსას არ ეკუთვნის, ვფიცავ, ის ლაქა

და ის განვიცხვა, რაც აქ ითქვა ჩემის ენითვე.

ჯერ დედაკაცი მე არ ვიცი; ფიცი არასდროს

არ დამიგმია; რაც მეკუთვნის მე საკუთრებად,

მასზედაც კი არ მიხარბნია; არ მიმუხთლია

ერთგულებისთვის არა ჟამსა; სატანებსაც კი

არ დავაბეზღებ ერთმანეთთან და სიცოცხლეზედ

ქეშმარიტება არანაკლებ მასიამოვნებს.

რაც ჩემს თავზედ ვთქვი, ეგ პირველი სიცრუე იყო,

ჩემის პირიდან ამოსული. ჩემს ნამდვილ სახეს

ჩემს ქვეყანას და შენ გაბარებ, - მითხარით, რა ვქნა.



შენს აქ მოსვლამდე ათიათას მამაცსა კაცსა  
მოხუც სივარდმა მოუყარა ერთ ალაგს თავი  
და გალაშქრებას აპირობდა შოტლანდიისკენ.  
ერთად წავიდეთ ახლა კია; ბედი გვწყალობდეს,  
ვით მართალს საქმეს ემართლება. ჩუმად რადა ხარ?  
მაკდუფი: მეტად სამძიმოდ მიმაჩნია, რომ მოვათავსო  
ერთად ამდენი სიამე და უსიამობა. (შემოდის ექიმი)  
მალკოლმი: სხვა მერე იყოს, ჯერედ კმარა. - ერთი მითხარით,  
გამობრძანდება დღეს ხელმწიფე?

ექიმი: დიად, უთუოდ.

სნეულთა გროვა მისგან ელის განკურნებასა;  
ექიმთა დიდი ხელოვნება ვერარას აწყობს,  
მაგრამ მის ხელს აქვს წმიდა ძალი მონიჭებული,  
რომ მხოლოდ ერთის შეხებითა განდევნის იმ სენს.

მალკოლმი: გმადლობთ, ექიმო. (ექიმი გადის)

მაკდუფი: რა სენს ამბობს?

მალკოლმი: მაგ სენს უხმობენ ხელმწიფის სენად  
და სიკეთით აღსავსე მეფე

სასწაულებრივ ჰკურნავს სნეულთ; რაც ინგლისში ვარ,  
მე ჩემის თვალთ ეგ ამბავი ხშირად მინახავს.

თუ ვით გამოსთხოვს ამ ნიჭს ზეცას, თვით უკეთ იცის,  
მაგრამ არჩენს კი უცნაურის სენით პყრობილთა,

შეჭირვებულთა სიმსივნით და იარებითა,

შესაბრალისთა სანახავად; სნეულთ, რომელნიც  
განწირულებას ჰგვრიან მკურნალთ ხელოვნებასა;

მხოლოდ ოქროს ფულს ჰკიდებს ყელზედ იგი ავადმყოფს  
და თან ლოცულობს გულმოდგინედ. ამბობენ კიდევ,

განკურნების ნიჭს გადასცემსო თვის შთამომავალთ.

ამა უცნაურს ღირსებასთან აქვს კიდევ ძალი

წინასწარმეტყვლის, ზეცით ნიჭად მომადლებული;

სხვა კიდევ ბევრი მოჰფენია მის ტახტს სიკეთე,

მადლიან მეფის სახელი მას ახად ეკუთვნის.

მაკდუფი: იცნობთ, ვინ მოდის?

მალკოლმი: ვხედავ, ჩემი მიწის შვილია, მაგრამ არ ვიცნობ.

(შემოდის როსი)

მაკდუფი: მოსვლა შენი კეთილი იყოს, ჩემო ძვირფასო ნათესავო.

მალკოლმი: ახლა კი ვიცან.

ძლიერო ღმერთო, აგვაშორე მალე მიზეზი,

რომელიც ასე უცხოთა გვხდის ერთმანეთისთვის.

როსი: ამინ.

მაკდუფი: მითხარ, როს, ჩვენს ქვეყანას იგივე დღე ადგას?

როსი: საბრალო მხარე! თითქმის რცხვენის თავის ყოფნისა;

საფლავი არის იგი ჩვენი და არა დედა:

იქ ვერვის ნახავთ მოლიმარეს ჭკვათამყოფელსა,  
იქ ოხვრა, კვნესა და გოდება ჰაერს სწამლავენ  
შეუმჩნეველად ყველასათვის. იქ გიჟად სახვენ,  
ვინც აგდებს რადმე ამ უზომო ტანჯვა-ვაებას.  
როს გლოვის ზარი განისმის იქ, არც კი იკითხვენ,  
თუ ვის მარხავენ; კეთილ კაცთა სიცოცხლე ჭკნება  
იმ ყვავილს ადრე, რომელიც მათ ქუდში ურჭვიათ.  
მაკდუფი: ოჰ, ეს ამბავი მეტად სწორე და ნამდვილია.

მალკოლმი: რაა ახალი მწუხარება?

როსი: ერთ საათ წინად

მომხდარის ამბის მამბობელს ყურს არ უგდებენ,  
ყოველი წუთი იქ ახალს შობს უბედურებას.

მაკდუფი: რას მეტყვი ჩემის მეუღლისას?

როსი: მშვიდობით არის.

მაკდუფი: ჩემი შვილები?

როსი: შვილებიცა.

მაკდუფი: მტარვალს ჯერ მათთვის ხომ არაფერი უწყენია?

როსი: როცა წამოველ, უწყინრად იყვნენ.

მაკდუფი: ყველა მითხარ, ნუ სიტყვაძვირობ.

როსი: როს მოვდიოდი დატვირთული მძიმე ამბებით,  
ხმა იყო, ვითომც ზოგიერთნი წარჩინებულნი  
გადუდგნენო მას. ეს მით უფრო დასაჯერია,  
რომ საომრადა ეტყობოდა მის ჯარს მზადება.

აწ შველის დროა: თვალს რომ მოჰკრამთ შოტლანდიასა,  
ერთის შეხედვით ჯარებს შეჰქმნით; თვით დედაკაცებს  
აომებთ, ოღონდ მოაშორეთ საშინელ ტანჯვას.

მალკოლმი: მაშ ინუგეშონ, იქ მივდივართ! ინგლისის მეფეც  
ათი ათასის კაცით მამაც სივარდს გვაშველებს.

მასზედ ნაცადი, უკეთესი ჯარის უფროსი

საქრისტიანოს არსადა ჰყავს.

როსი: ნეტა შემეძლოს

მაგ ნუგეშისთვის სამაგივროდ მეც ნუგეში გცეთ;

მაგრამ სათქმელი ჩემი უნდა უდაბნო მინდორს  
კვნესით აღმოხდეს, რომ ყურთ სმენამ ვერ განიცადოს.

მაკდუფი: ეგე ვარამი შეეხება ქვეყნის საქმეს, თუ  
კერძო კაცს ატკენს ვისმე გულსა?

როსი: პატოისანი ვისაც კი ეთქმის,

წილს ამაში ყველა ჩაიდებს,

მაგრამ ეს დარდი უმთავრესად შენი ხვედრია.

მაკდუფი: თუ მე მეკუთვნის, ჩქარა მითხარ, ნულარა მზოგავ.

როსი: ნუ შეაზიზღებ საუკუნოდ შენ ყურთ ჩემს ენას,

რაკი შეასმენს იგი ამბავს უსაზარლესსა  
როდისმე მათგან გაგონილზე.

მაკდუფი: ჰმ, ჰმ! მივხვდი მე, მივხვდი!

როსი: მტერმა დაიპყრო შენი ციხე, შენი ცოლ-შვილი  
მხეცურად სრულად ამოჟლიტა; დაწვრილებით რომ  
გიამბო ყველა, იმ საბრალოდ ამოხოცილებს  
შენი სიკვდილიც ზედ დაერთვის.

მალკოლმი: მოწყალე ზეცავ! - ოჰ, მაკდუფ, მაკდუფ, ქუდს მაგ შუბლზედ რისთვის  
იფხატავ?

სთქვი, სთქვი ყოველი, რადგან ბოღმა ენით ართქმული  
ათრთოლებულს გულს ჰკბენს უსიტყვოდ და შუა გაჰხეთქს.

მაკდუფი: ჩემი შვილებიც?

როსი: ცოლიც, შვილიც, მსახურნიც, ყველა, ვისაც მოასწრეს.

მაკდუფი: და მე უნდა შორს ვყოფილიყავ! ცოლიც მომიკლეს?

როსი: აკი გითხარ.

მალკოლმი: გულით გამაგრდი.

მაგ საშინელსა მწუხარებას შურისძიება

წამლად დავადოთ და განვკურნოთ.

მაკდუფი: ეგ უშვილოა...

რაო, რა სთქვი შენ?.. მაშ ამიკლო და გამიჟლიტა

ჩემი ლამაზი პაწიები?! - ოჰ, ჯოჯოხეთის

მშიერო სვავო! - ყველანიო, ყველანი ერთად,

ისე უწყალოდ კრუხი თავის წიწილებითა!

მალკოლმი: გულმაგრად დახვდი მაგ სატანჯველს, როგორც კაცს  
ჰფერობს.

მაკდუფი: მაინც აგრე ვიქ, მაგრამ გრძნობაც რომ კაცისა მაქვს!

ვით დავივიწყო, რომ ისინი იყვნენ ჩემთვისა

უძვირფასესნი ქვეყანაზედ, - როგორ, მაგ ამბავს

ზედ დაჰყურებდა ზეცა და მწედ არ გაუხდა მათ?

ოჰ, ცოდვიანო მაკდუფ, შენთვის, შენის გულისთვის

გასწყდნენ ისინი! რა ჰქონდათ მათ დანაშაული!

ჩემი ბრალია, რომ საზარელს ეწივნენ სიკვდილს!

ოჰ, მე უბადრუკს! განუსვენე, ღმერთო, მათ სულსა!..

მალკოლმი: სალესი იყოს ეგ შენის ხმლის; სევდა გარდაჰქმენ

ცოფად და ბრაზად, მრისხანე გულს ნუ დაიყუჩებ!

მაკდუფი: როგორ! თვალთ ცრემლი მოვიდინო დედაკაცივით

და ფუჭ სიტყვებით კვებნას მოვყვე! - შენ, მოწყალე ცავ,

უსწრაფე ჟამი დროთა ბრუნვას და შემახვედრე

მალე პირისპირ იმ სატანას შოტლანდიისას!

მომიახლოვე იმდენად, რომ ხმალი მიმიწვდეს

და თუ გადამრჩა, მიუტევე მაშინ ყოველი.

მალკოლმი: აი ეგ კილო ვაჟკაცურს ჰგავს! წამო მეფესთან;

ჩვენი ჯარები მზად არიან, გამოვეთხოვით  
და გზას გავუდგეთ. მაკბეტს ბედი მომწიფებია,  
იმის დალუპვას თვით ცის ძალნი ხელს შეუწყობენ.  
შენ ინუგეშე როგორც იყოს. გრძელია ღამე,  
რომელსაც არ სდევს თან იმედი გათენებისა.

(გადიან)

მოქმედება მეხუთე

სურათი I

დუნსინანი. ოთახი ციხე-დარბაზში

(შემოდინან ექიმი და ლედი მაკბეტის მხლებელი ქალი)

ექიმი: ამ ორ ღამეს ვათევ თქვენთან ერთად და ისეთი არა შემიმჩნევია-რა,  
რომ თქვენს ნათქვამს ამტკიცებდეს.

უკანასკნელად როდისა ნახეთ ისე მოსიარულე?

მხლებელი ქალი: რაც მათმა დიდებულებამ ომი დაიწყო,

რამდენჯერმე მინახავს, რომ დედოფალი საწოლიდან წამომდგარიყოს, წამოესხას ღამის  
სამოსი, გაედოს თა-ვის სამუშაო ოთახი, ქაღალდზე დაეწეროს, დაეკეცოს, დაებეჭდოს და  
მასუკან ისევ დაწოლილიყოს.

მერე ყოველს ამას ღრმა ძილში ჩადიოდა.

ექიმი: ეგ დიდი აშლილობაა ბუნებისა, როდესაც ადამიანი თან ძილით განსვენებას არ  
აკლდება და თან ფხიზე-ლის საქმეს აკეთებს. მაგ შფოთიან ძილის დროს იმას გარდა,  
რომ დადის და ეგრე მოქმედობს, ლაპარაკი ხომ არა გაგიგონიათ-რა?

მხლებელი ქალი: გავიგონე, ბატონო, მაგრამ გაგონილის თქმას ვერ გავბედავ.

ექიმი: მე უთუოდ უნდა მითხრათ, ეგ მართებულობის წინააღმდეგი არ იქნება.

მხლებელი ქალი: ვერც თქვენ გეტყვით და ვერც სხვას ვისმე, რადგან მოწამე არა მყავს,  
ჩემი სიტყვები დაამტკიცოს. - აგერ, შეხედეთ, მოდის! აი, სწორედ ასე იცის სიარული.

(შემოდის ლედი მაკბეტი. ხელში სანთელი უჭირავს)

სიცოცხლეს გეფიცებით, რომ ღრმად მძინარეა.

კარგად ჩააცქერდით, მიდით ახლო.

ექიმი: სანთელს როგორ მიაგნო?

მხლებელი ქალი: გვერდითა ჰქონდა. სანთელი ყოველთვის გვერდით უდგას, -  
ასე აქვს ნაბრძანები.

ექიმი: ჰხედავთ, თვალები გახელილი აქვს!

მხლებელი ქალი: დიაღ, მაგრამ მხედველობა კი დახშულია.

ექიმი: ამას რას ჩადის, ხელებს რად ისრეს?

მხლებელი ქალი: ეგ ჩვეულებაა აქვს, თითქო იბანსო. მე მინახავს, რომ მთელი  
თხუთმეტი წამი ხელები აგრე უხეხია.

ლედი მაკბეტი: მაინც კიდევ ლაქა აჩნევია.

ექიმი: სსუ! ლაპარაკობს. რასაც იტყვის, ყველას ჩავნიშნავ, რომ უფრო კარგად ჩამრჩეს  
გონებაში.

ლედი მაკბეტი: გამშორდი, წყეულო ლაქავ, გამშორდი-მეთქი!.. ერთი... ორი... ახლა  
დროა, შესრულდეს... ჯოჯოხეთ-ში უკუნეთის სიბნელეა... გრცხვენოდეს, გრცხვენოდეს!  
მეომარი და თრთოლვა! ან რად გემინიან, შეგვიტყო-ბენო?! თუნდა შეგვიტყონ, ვინ

გაბედავს ანგარიშის მოთხოვას? ვინ იფიქრებდა, რომ ბერიკაცს იმდენი სის-ხლი ექნებოდა!

ექიმი: შენიშნეთ?

ლედი მაკბეტი: ფაიფის თენს ცოლი ჰყავდა, ახლა ის სად არის? - რა ვქნა, ამ ხელებს თავის დღეში სიწმინდე აღარ მოეკიდებათ! - კარგი, თავი დავანებოთ: საქმეს აფუჭებ მაგ თრთოლვა-კანკალით.

ექიმი: მერე, მერე! შენ იმისთანები გცოდნია, რაც არ უნდა იცოდე.

მხლებელი ქალი: ისა სთქვა, რაც არ უნდა ეთქვა და იცის რამე თუ არა, ეგ ღმერთმა უწყის.

ლედი მაკბეტი: მაინც სისხლის სუნი მომდის; მთელის არაბეთის სურნელოვანი ბალახები ამ პატარა ხელს ვერ გასწმენდნენ. ოჰ, ოჰ, ოჰ!

ექიმი: როგორ ოხრავს! გული სიმწარით შემძიმებია.

მხლებელი ქალი: სრული მაგისი ღირსება რომ მოეცათ, მაინც არ ვინდომებდი, ეგ გული ამ მკერდ ქვეშა მქონო-და.

ექიმი: კარგი, კარგი....

მხლებელი ქალი: ღმერთსა სთხოვეთ, მართლა კარგი დრო დაგვდგომოდეს.

ექიმი: ამ ავადმყოფობას ჩემი ხელოვნება ვერას უზამს. მაგრამ მე მინახავს, რომ ძილში მოსიარულენი თავიანთ სა-წოლში მასუკან წმიდანებსავით გარდაცვლილიყვნენ.

ლედი მაკბეტი: ხელები დაიბანე, ჩაიცვი შენი ღამის სამოსი, აგრე ფერმკრთალი ნუ ხარ; კიდევ და კიდევ გეუბნე-ბი, ბანქო დამარხეს და საფლავიდან ვეღარ ადგება.

ექიმი: მართლა?

ლედი მაკბეტი: დაწექ, დაწექ! კარებს არახუნებენ. მოდი, მოდი, მოდი, ხელი მომეც. რაც მოხდა, მოხდა. დავწვეთ, დავწვეთ, დავწვეთ! (გადის)

ექიმი: ახლა საწოლში წავა და დაწვება?

მხლებელი ქალი: დიალ, პირდაპირ.

ექიმი: საზარელ სიტყვებს მოგვარ ყური. საქმე ბუნების წინააღმდეგი უცნაურსვე შობს მღელვარებას და სინიდისი შებღალული თვის საიდუმლოთ ანდობს მხოლოდ ყრუ თავსადებელს. მაგისთვის ახლა მოძღვარი უფრო საჭიროა, ვიდრე მკურნალი.

ღმერთო, ყოველთა მოგვიტევე! - გამუდმებულად

გეჭიროთ თვალი; ყური უგდეთ, რომ სახიფათო

არაფერი არ მიაკაროთ. - ღამე მშვიდობის. -

გონება სრულად გამიცვიფრა და მხედველობა

შემფოთებული მაქვს ამ ხილვით.

ვფიქრობ და თქმა ვერ გამიბედნია.

მხლებელი ქალი: ღმერთმა მოგცეთ მშვიდობის ღამე!

(გადიან)

## სურათი II

დუნსინანსის ახლო მდებარე მხარე

(შემოდინან დაფდაფებით და დროშებით მენტეთი, კათნესი, ანგუსი, ლენოქსი და

ჯარისკაცნი)

მენტეთი: ინგლისის ჯარი ახლო არის; წინ მოუძღვინ  
მალკოლმ, იმისი ბიძა სივარდ და სათნო მაკდუფ.

შურისძიების ცეცხლი ღვივის იმათ მკერდ ქვეშა:

მართლაც მათ საქმე ნათელივით ცხადი და წმიდა  
წააქეზებდა საბრძოლველად, სისხლ-დასათხევლად  
თვით უძღურებით სულმიშვებულს, გაგულცივებულს.

ანგუსი: ჩვენ უნდა იმათ ბირნამის ტყის მახლობლად შევხვდეთ;  
ამბობენ, იქით მოდიანო.

კათნესი: ხომ არვინ იცის,  
თვის ძმასთან არის დონალბენიც?

ლენოქსი: ნამდვილად ვიცი,  
მასთან არ არის: ყველა იქ მყოფ კეთილშობილთა  
სრული სია მაქვს; მათში არის სივარდის შვილი  
და მრავალი სხვა ახალგაზრდა უწვერულვაშო,  
რომელნიც პირველ ნაბიჯს აწ სდგმენ ვაჟკაცობაში.

მენტეთი: მტარვალი მერე რაღას ჩადის?

კათნესი: იგი ამაგრებს,  
როგორც კი ძალუძს, ძლიერს ციხეს დუნსინანისას.

ზოგნი ამბობენ, გაგიჟდაო და ზოგიერთნი,  
რომელთაც იგი ნაკლებად სძაგთ, მის მოქმედებას  
გახელებასა უწოდებენ ვაჟკაცობისას.

ეს კი სწორეა, რომ ნახტომი შეშლია სრულად  
და აღვირ-წაყრილს მღელვარებას ვერ იშოშმინებს.

ანგუსი: ახლა გრძნობს იგი, მისგან ჩუმად დახოცილთ სისხლი  
ხელთ ვით ეკრობა. ამბობება ახალ-ახალი

ყოველ წუთს და წამს ნიშნს უგებს მის მუხანათობას.

მის ხელქვეითნი მორჩილებენ მხოლოდ ბრძანებას

და არ უფროსის ერთგულებას; ღირსება თვისი

ტანზედ ადგია ბოშად ისე, როგორც ქურდ ჯუჯას

დაადგებოდა შესამოსი ბუმბერაზისა!

მენტეთი: მაშ ვით ეძრახვის იმის გრძნობათ შემფოთებულთა

უკან დაწევა და დაფრთხობა, რაკი ყოველი,

რაც ბუდობს მასში, თავს იწყევლის იქ ყოფნისათვის!

კათნესი: აბა, წავიდეთ და ჩვენც იმას დავემორჩილოთ,

ვისი მორჩილნიც უნდა ვიყოთ სიმართლისამებრ.

ვპოვოთ მკურნალი ამ საერთო მწუხარებისა,

მივემხროთ მას და ჩვენის ქვეყნის განკურნებისთვის

უკანასკნელსა სისხლის წვეთსა ნულარ დავზოგავთ.

ლენოქსი: ან ნუ დავზოგავთ იმდენს, რაიც საჭირო იყოს

ყვავილთ მეფის რწყვად და ცუდ ღვარძლის წასარღვნელადა.

ახლა დრო არის გავემგზავროთ ბირნამისაკენ.

(რაზმ-დაწყობილნი გადიან)

### სურათი III

დუნსინანი, ოთახი ციხე-დარბაზში

(შემოდინ მაკბეტი, ექიმი და მხლებელნი)

მაკბეტი: ნულარ მომიტანთ ნურა ამბავს. დეე, წავიდნენ,

გაიქცნენ ყველა! შიში მე ვერ შემიკროთობს ფერსა,

ვიდრე ბირნამის ტყე არ მოვა დუნსინანისკენ.

მალკოლმმა უნდა შემაშინოს! განა ეგ ბავშვი

დედაკაცისგან არ შობილა? იმ სულთ, რომელთაც

ყველა იციან კაცთა საქმის, ასე მითხრეს მე:

“ნუ შიშობ მაკბეტ, ვინც შობილა დედაკაცისგან,

ვერარას გავნებს”. გარდიხვეწეთ მამ მოღალატე

დიდებულეხო, შეუერთდით გარყვნილ ინგლისელთ!

ჩემს წინამძღოლ ჭკვას და ამ მკერდთან დაბუდებულს გულს

ვერ შეადრწუნებს შიში და ვერც ექვი შეაკროთობს. -

(შემოდის მსახური)

აი ეშმაკმა შეგაჩვენოს შავად და ბნელად,

გაყვითლებულო ქალაჩუნავ! სად დაემსგავსე

შენ აგრე ბატსა?

მსახური: ჩვენ დავთვალეთ ათი ათასი...

მაკბეტი: მხეცო, ბატები იქნებოდნენ.

მსახური: არა, ბატონო, ჯარისკაცებზედ მოგახსენებთ.

მაკბეტი: წა, აილანძე ეგ პირისახე, შეიღებე ალისფრად შიშით,

შე შროშან-ღვიძლო სალახანა! ჯარისკაცები!

წუწკო მასხარა, სასიკვდილევ! ეგ მიტკლის სახე

კაცს თუ არ შიშსა, მამ ნეტა სხვას რას ჩააგონებს.

ჯარისკაცები მომიგონა, უჰ, დოყლაპიავ!

მსახური: ინგლისის ჯარი გახლავთ-მეთქი.

მაკბეტი: წა, დაიკარგე! (მსახური გადის)

სეიტონ! - გული მტკივა, როცა ვუყურებ ხოლმე. -

სეიტონ-მეთქი! - ეს კვეთება ან ცამდე ამწევს

სამარადისოდ და ან აწვე პირქვე დამამხობს.

მე საკმარისი მიცხოვრია; ახლა ჩემმა გზამ

ფოთოლთა ჭკნობას მიაღწია და რაც სიბერეს

თან მოსდევს ხოლმე: სიყვარული, პატივისცემა,

მეგობართ ხროვა, მორჩილება, - არარა მაქვს მე.

მათ სამაგივროდ წილად მერგო წყევლა და ქოლვა

გულის სიღრმეში მიმალული; ენით ლაქუცი,

პირმოთნეობა, რომელსაც კი ის უბედურნი

სიამოვნებით უარჰყოფდნენ, რომ გაბედავდნენ. -

სეიტონ! (შემოდის სეიტონი)

სეიტონი: რა გსურთ, ხელმწიფეო?

მაკბეტი: კიდევ რას იტყვი ახალ ამბავსა?

სეიტონი: რაც მოგხსენდათ, ყველა მტკიცდება.

მაკბეტი: მაშ ვიბრძვი, ვიდრე ხორცს ძვლებიდან არ ჩამომჩვენ.

აქ მომეც ჩემი საჭურველი.

სეიტონი: ჯერ არ გჭირიათ.

მაკბეტი: მაინც შევიმოს. ცხენოსანნი გაგზავნეთ კიდევ.

კარგად მოლახონ მთელი მხარე და ჩამოაღრჩონ,

ვინც კი შიშხედ ხმას ამოიღებს. აბჯარი მომეც. -

ექიმო, შენი ავადმყოფი როგორღა არის?

ექიმი: სენი იმდენად არ აწუხებს, ვით მისეულნი მოჩვენებანი.

მაკბეტი: და მაგასაც ხომ საშველი აქვს;

სნეულ გონებას ვერ მოუვლი? ამოაგლიჯე

მეხსიერებას სევდა მასში ღრმად ფესვგადგმული,

ჭკვას ჩაჭდული მღელვარება მთლად ამოფხიკე

და წამალი რამ მიეც სევდის გამქარვებელი;

მკერდს განაშორე ტვირთი იგი სულის შემხუთი,

რაიც საზარლად ლოდებრ მძიმედ გულს დასწოლია.

ექიმი: თვითონვე უნდა ავადმყოფმა ხელი შეუწყოს მაგ განკურნებას.

მაკბეტი: მაშ წამლები ძალთ გადუყარე,

რალადღა გინდა! - საჭურველი ტანს შემომარტყით.

მომეცით კვერთხი! - სეიტონ, ჯარს უთხარ, გავიდეს! -

ექიმო, თენნი გამექცნენ მე. - სეიტონ, ჩქარა! -

ოჰ, რომ შეგეძლოს ჩემის ქვეყნის მაჯის გასინჯვა

და უწინდელის ჯანმრთელობის კვალად აღდგენა,

მაშინ, ექიმო, დაგიკრავდი ტაშსა ქებისას,

ვიდრე ამ ქებას ყოველ მხრიდან ბანს არ მისცემდნენ. -

მომხსენით-მეთქი, არ გითხარით! - განა არ ძალუმს

სინამაქასა, ან რევანდს, ან სხვა სასაქმებელს,

რომ შოტლანდია გასწმინდოს ამ ინგლისელთაგან?!

მათი ამბავი შენც ხომ იცი?

ექიმი: დიად, ხელმწიფევ.

თქვენმა მზადებამ ზოგიერთი რამ გვამცნო მათზედ.

მაკბეტი: თან წამომიღეთ. მე არც სიკვდილს და არც საწამლავს

არ შევუდრკები, ბირნამის ტყე დუნსინანისკენ თუ არ წამოვა!

(ექიმს გარდა ყველანი გადიან)

ექიმი: თუ გავექეც მე ამ დუნსინანს,

ვგონებ, ვერარა ვერცხლი ვეღარ შემომიტყუებს.

(გადის)



დუნსინანის ახლო მდებარე მხარე. შორს ტყე მოჩანს  
(შემოდინ დაფდაფებით და დროშებით მალკოლმი, მოხუცი სივარდი და იმისი შვილი,  
მაკდუფი, მენტეთი, კათნესი, ანგუსი, ლენოქსი, როსი და ჯარისკაცი რაზმად  
დაწყობილნი)

მალკოლმი: ვიმედეულობ, ნათესავნო, რომ ახლოა დღე,  
როს თავისუფლად ჩვენს კერაზედ ამოვისუნთქებთ.

მენტეთი: ჩვენც არ გვაქვს ეჭვი.

სივარდი: ეს რა ტყეა, აიქ რომ მოჩანს?

მენტეთი: ბირნამისაა.

მალკოლმი: სათითაოდ ჯარისკაცებმა

თითო შტო ხისა მოსტეხონ და წინ აიფარონ:

ამით ჩვენს ჯარსა დავუჩრდილებთ და მტრის ჯაშუშნიც  
გზადაბნეულნი ვერა სცნობენ ჩვენს რიცხვს და ძალას.

ჯარისკაცი: ბრძანება თქვენი აღსრულდება.

სივარდი: მხოლოდ ეს ვცანით,

რომ გულდანდობით დუნსინანში რჩება მტარვალი  
და იქ მიელის იერიშით ჩვენგან მისვლასა.

მალკოლმი: ნუგეშად ისლა დარჩომია, რადგან ყველანი,

დიდი, პატარა, ვისაც შესწევს დრო და შემთხვევა,

გადუდგნენ თურმე. დანარჩენნიც ნამალადევად  
თუ მორჩილობენ, თორემ გულით სხვაგან არიან.

მაკდუფი: ნურას ვიმედობთ. ჯერ ვიომოთ, ვით ვაჟკაცს ჰფერობს,

სივარდი: ახლოა ის დრო, როს შევიტყობთ დაბეჯითებით,

ჩვენი რა არის და სხვისა რა. სწრაფი გონება

ხშირად საეჭვო იმედებსა წარმოშობს ხოლმე.

მაგრამ კი ბედის გადამწყვეტი ომის ბოლოა

და ჩვენც ვეცადოთ, რომ ეს ბოლო მოვიახლოვოთ.

(გადიან რაზმ-დაწყობილნი)

## სურათი V

დუნსინანი. ციხე-დარბაზის შიგნითი ეზო

(შემოდინ დაფდაფებით და დროშებით მაკბეტი, სეიტონი და ჯარისკაცი)

მაკბეტი: გარეთ კედლებზედ გამოჰკიდეთ ბაირაღები.

ეს ისმის მხოლოდ “მოდინო!” ამ ციხის ძალას

სასაცილოდაც არ ეყოფა მათი მოსევა.

დეე, ვიდრემდე სიმშვილი და ციებ-ცხელება

მთლად არ მოიდნობს, მანდ ეყარნენ. რომ ჩვენთანებს

იმათთვის მხარი არ მიეცათ, მაშინ ხმალდახმალ

შევებრძოდით და სულ კუდით ქვას ვასროლინებდით. -

(ქალების კივილი მოისმის)

ეს რა ხმა არის?

სეიტონი: ხელმწიფეო, დედაკაცების კივილი ისმის. (გადის)

მაკბეტი: შიშის გემო თითქმის დავკარგე.  
იყო დრო, როცა ჟრუანტელი ტანში მივლიდა,  
რაკი ბნელ ღამეს ყურს მოვკრავდი ხმაურობასა;  
და სამწუხარო ამბის სმენა თმას მიბურმენიდა  
და მიშემებდა, თითქო გრძნობა, სული ჰქონდესო.

ახლა ყელთამდე აღსავსე ვარ შიშით და ელდით  
და ვერაგვარი საზარლობა ვეღარ შემაკრთობს,  
რადგან ბოროტი ჩემს ჭკვას აღარ ეუცხოება. -  
(სეიტონი დაბრუნდება) რასა ჰყვიროდნენ?

სეიტონი: დედოფალი გარდაიცვალა.

მაკბეტი: რას უჩქაროდა, სიკვდილს ვეღარ მოესწრებოდა!  
და მეც ხომ მალე შევიტყობდი. ხვალე ხვალს მოსდევს  
და წვრილ ნაბიჯით დღე დღის უკან მიიზღაზნება,  
ვიდრე ჟამთ ბრუნვა უკანასკნელს საათს დაჰკრავდეს.  
გუშინდელთა დღეთ უგუნურებს გზა გაუნათეს  
მიწად გარდამქცევ სიკვდილამდე... ოჰ, შენ ხანმოკლე  
მანათობელო! გაჰქერ, გაჰქერ!.. სიცოცხლე მხოლოდ  
ჩრდილი ყოფილა მოარული; ტაკიმასხარა,  
რომელსაც ვიდრე დრო აქვს, ადის მაღალ სცენაზედ  
და იჭიმება, იგრიხება მთლად გაქრობამდე.  
სულელის ენით მოთხრობილი ამბავი არის,  
თუმც უმნიშვნელო, მაგრამ სავსე აურზაურით. -  
(შიკრიკი შემოდის)

გეტყობა, ენა გექავება, მითხარ, რაც იცი.

შიკრიკი: მოწყალე მეფევ, მსურს გაუწყოთ თვალით ნახული,  
მაგრამ არ ვიცი, როგორა ვქნა.

მაკბეტი: სთქვი, სთქვი, ყურს გიგდებ.

შიკრიკი: დარაჯად ვიდევ მაღალ სერზედ, ბირნამის ტყისკენ  
ვიყურებოდი და უეცრად ისე მეჩვენა,  
თითქო ტყე ჩვენსკენ წამოვიდა.

მაკბეტი: ოჰ, შე ცრუ მონავ!

შიკრიკი: ღირსი ვარ თქვენის რისხვისა, თუ ტყუილს ვამბობდე:  
სამს მილზე არის აქედან და თქვენ შეგიძლიანთ  
მომავალი ტყე დაინახოთ თქვენის თვალითვე.

მაკბეტი: თუ სტყუი, ცოცხალს ჩამოგკიდებ პირველ ხეზედვე,  
ვიდრე შიმშილი არ მოგიდმოხს, და თუ სწორე სთქვი,  
მაშინ ეგევ თუნდ მე დამმართე, არ მენაღვლება.

აზრი მეცვლება და სატანას ორპირული თქმა  
ეჭვებს მიბადებს; მათ სიცრუე სიმართლეს ჰგავდა:

“ვიდრე ბირნამის ტყე არ მოვა დუნსინანისკენ,  
ნუ გეშინიან!” - ასე მითხრეს და აი მართლა  
დუნსინანისკენ ტყე დამრულა. შეიარაღდით

და გადით ჩქარა! თუ რაცა სთქვა, მართლა ასრულდა,  
არც გარდახვეწა გვარგებს რასმე, არც აქ დარჩენა.  
მომწყინდა სწორედ მზის ყურება და იმას ვნატრობ,  
მოსპობილ იქმნას უცბად მთელი ქვეყნიერება.  
ნაბათს დაჰკაროთ! - მო, სიკვდილო, იქროლე, ქარო!  
აბჯარჩაცმულნი დავიხოცოთ, ეს მაინცა ვქნათ! (გადიან)

## სურათი VI

იგივე ადგილი. მინდორი ციხე-დარბაზის წინ  
(შემოდინ დაფდაფებითა და დროშებით მალკოლმი, მოხუცი სივარდი, მაკდუფი და  
სხვანი. ჯარი უკან მოსდევს და  
ხელში შტოები უჭირავს)  
მალკოლმი: ახლა საკმაოდ მოვახლოვდით. დროა, დაჰყაროთ  
ფოთლის ფარები და ეჩვენოთ თქვენივე სახით.  
შენ, ღირსეულო ბიძაჩემო, ჩემს ბიძაშვილთან,  
შენს კეთილშობილ შვილთან ერთად, წინ წაემძღვარე  
მოწინავე რაზმს. ყოველსავე დანარჩენ საქმეს  
ჩვენ და მაკდუფი შევასრულებთ, როგორც დავაწყეთ.  
სივარდი: მაშ გამარჯვება! სადამომდე თუ შეხვდით მტარვალს,  
ან ვაჟკაცურად დავხვდეთ დღესვე, ანუ დავმარცხდეთ.  
მაკდუფი: ჩაჰბერეთ საყვირთ, გამოსცეს ხმა ყველამ საერთოდ,  
ხმა სისხლის ღვრისა და სიკვდილის წინამორბედი. (გადიან)

## სურათი VII

იგივე ადგილი. მინდვრის მეორე მხარე  
(ომის ხმაურობაა. შემოდის მაკბეტი)  
მაკბეტი: ველარსად წავალ! ბოძს მიმაბეს და მეც დათვივით  
მწარედ ვიბრძოლებ. - ის ვინ არის დედაკაცისგან  
რომ არ შობილა? იმის შიში უნდა მქონდეს მე,  
სხვა არავისი. (შემოდის ახალგაზრდა სივარდი)  
ახალგაზრდა სივარდი: შენ რა გქვიან?  
მაკბეტი: ეგ რომ გაიგო, ფერი გეცვლება.  
ახალგაზრდა სივარდი: ჯოჯოხეთის მწვავ სახელებზედ  
უარესიც რომ გერქვას, მაინც არ შევშინდები.  
მაკბეტი: მე მქვიან მაკბეტ.  
ახალგაზრდა სივარდი: თვით სატანა ვერ წარმოსთქვამდა  
ჩემთა ყურთათვის მაგ სახელზედ უფრო საზიზღარს.  
მაკბეტი: და უფრო საშიშს.  
ახალგაზრდა სივარდი: სტყუი, სტყუი, ბილწო მტარვალო!  
ახლავ ჩემის ხმლით დაგიმტკიცებ მაგ შენს სიცრუეს.  
(იბრძვიან. მაკბეტი სივარდსა ჰკლავს)  
მაკბეტი: შენც დედაკაცსა უშობიხარ და დედაკაცის  
ნაშობისაგან მოქნეულს ხმაღს არად მივიჩნევ.

(გადის. ომის ხმაურობაა. შემოდის მაკდუფი)  
მაკდუფი: აქეთკენ ისმის ხმაურობა. მაჩვენე შენი  
სახე, მტარვალო! ამ ხელით რომ არ მოგაკვდინო,  
ჩემის ცოლ-შვილის ჩრდილნი აღარ მომასვენებენ.  
მე არას ვერჩი ამ საბრალო ირლანდიელთა,  
რომელთაც ქირის გულისთვის ხელთ კეტნი უპყრიათ.  
თუ ვერ გიპოვე, მაკბეტ, ჩემს ხმაღს მე არ მოვაცდენ,  
უქმად ჩავაგებ ისევ ქარქაშს. - იქ უნდა იყოს;  
ამ დიდ ჩახიჩუხს ეტყობა, რომ ძლიერს მეომარს  
იქა აქვს ბინა. - ბედო ჩემო, სხვას არასა გთხოვ,  
ოღონდ კი იმას შემახვედრე პირისპირ სადმე.  
(გადის. ხმაურობაა. შემოდინა მალკოლმი და მოხუცი სივარდი)  
სივარდი: აქეთ, ბატონო. დაგვმორჩილდა თავისით ციხე,  
მტარვლის ლაშქარი ზოგი ჩვენს ჯარს მოემხრო კიდეც  
და დიდებულთა თენტაც თავი მედგრად იჩინეს.  
ცოტალა დაგვრჩა; გამარჯვება თითქმის თქვენია.  
მალკოლმი: იმისთანა მტერს შევეყარეთ, რომელიც ომში  
ჩვენვე გვერდს გვიდგას.  
სივარდი: წამობრძანდით ციხე-დარბაზში.  
(გადიან. ომის ხმაურობაა)

## სურათი VIII

იგივე ადგილი. მინდვრის სხვა მხარე  
(შემოდის მაკბეტი)  
მაკბეტი: რისთვის წავბადო გიჟ რომაელს და ჩემსავ ხმაღზე  
რისთვის ავეგო? ვიდრე სხვათა ვხედავ ცოცხალთა,  
სჯობს, რომ მის ძალა მათზე ვცადო.  
(შემოდის მაკდუფი)  
მაკდუფი: მობრუნდი, ძაღლო ჯოჯოხეთისავ, აქ მობრუნდი!  
მაკბეტი: ისე არავის ვერიდებოდი, ვით შენ, მაკდუფ.  
სჯობს, რომ გამშორდე;  
შენიანების სისხლი ისეც მიმძიმებს სულსა.  
მაკდუფი: მე არას გეტყვი, ჩემმა ხმაღმა ამოიღოს ხმა,  
ბილწო მოსისხლეც, ვის ავ საქმეს სახელსაც ვერ ვდებ.  
(იბრძვიან)  
მაკბეტი: ამოდ ცდილობ: ვით ბასრის ხმლით კვალს ვერ დააჩნევ  
ხელშეუხებელს ჰაერს, ისე მე სისხლს ვერ მადენ.  
დაჰკარ ეგ ხმალი ისევ სხვა ზუჩს, ჭრილობის შემტყობს;  
ჩემი სიცოცხლე შეკრულია გრძნება-თილისმით, -  
ვერას დააკლებს მას ნაშობი დედაკაცისგან.  
მაკდუფი: ვედარ გიშველის ეგ თილისმა. დეე, გაუწყოს  
იმ ანგელოზმა, რომელსაც შენ მუდამ მონებდი,  
რომ მაკდუფ უდროდ ამოჰგლიჯეს დედის მუცლიდან.

მაკბეტი: წყეული იყოს ენა, რაიც მაგ ამბავს მამცნევს;  
რაც იყო ჩემში უკეთესი, მაგან მომისპო.  
აღარრა მჯერა იმ მასხარა ალქაჯებისა,  
რომელნიც ჩვენთან ორპირობენ და კუდს იქნევენ  
და თუმცა ყურებს უსრულებენ მოცემულ სიტყვას,  
გულს აღძრულ იმედს გვიუქმებენ. - მე შენ არ გებრძვი.  
მაკდუფი: ეგ იარაღი დაჰყარე მაშ, მხდალო, ლაჩარო,  
და იცოცხლე, რომ საჩვენებლად, საოცრად გვყვანდე.  
როგორც უცნაურთ მახინჯთ, შენცა ბომზედ დაგხატავთ  
და მივაწერთ, რომ აქ მტარვალი ამწყვდევიყო.  
მაკბეტი: არა, არასდროს! იარაღი მისთვის დავყარო,  
რომ ხალხმა წყევლით ამომადღოს და უსუსურის  
მალკოლმის ფერხთ წინ ვეამბორო იმის ნატერფალს?!  
თუმც ბირნამის ტყე წამოვიდა დუნსინანისკენ  
და წინ მიდგახარ არნაშობი დედაკაცისგან,  
მანც ვცდი ღონეს უკანასკნელს: წინ ავიფარებ  
ჩემს საომარ ფარს; დაჰკარ, მაკდუფ, და წყეულ იყოს,  
ვინც კი პირველად დაიძახოს: “გაჩერდი, კმარა!”  
(ბრძოლით გადიან. ისმის ხმა ომის გაყრისა. საყვირს უკვრენ. შემოდინან დაფდაფებითა  
და დროშებით მალკოლმი, მოხუცი სივარდი, როსი, ლენოქსი, ანგუსი, მენტეთი და  
ჯარისკაცნი)  
მალკოლმი: ნეტა უვნებლად მეგობარნი გადაგვრჩენოდნენ,  
რომელთაც ახლა აქ ვერ ვხედავთ.  
სივარდი: ზოგთ დახოცავდნენ,  
მაგრამ თუ განვსჯით მათ მიხედვით, ვინც აქ არიან,  
იაფად უნდა დაგვჯდომოდეს ეს დიადი დღე.  
მალკოლმი: მაკდუფ არსად სჩანს და არც შენი მამაცი შვილი.  
როსი: ბატონო ჩემო, თქვენმა შვილმა მეომრის ვალი  
გარდაიხადა. მან იცოცხლა მხოლოდ იმ დრომდე,  
ვიდრე მამაცად თავს იჩენდა ცხარე ბრძოლაში  
და ვაჟკაცობის სახელს ამით დაიმტკიცებდა;  
ვაჟკაცურადაც მოკვდა იგი.  
სივარდი: მოკვდაო, ამბობ?  
როსი: მოკვდა და კიდევ მოასვენეს ბრძოლის ველიდან.  
თქვენს მწუხარებას ნუ შეუწონთ იმის ღირსებას,  
თორემ დასასრულს ვერა ჰპოებთ.  
სივარდი: წინიდან არის იგი დაჭრილი?  
როსი: დიაღ, შუბლში.  
სივარდი: ღმერთს თვის მეომრად მიუწოდია.  
თმა რაცა მაქვს, იმდენი შვილი  
რომ გამჩენოდა, არც ერთ მათგანს უკეთესს სიკვდილს  
არ ვუნატრიდი. მაშ დაუკრავს მის სიკვდილის ჟამს!

მალკოლმი: ის მეტის გლოვის ღირსი არის და ჩვენც ვიგლოვებთ.

სივარდი: კმარა, რაც ერგო, რაკი იგი, როგორც ამბობენ, ისე პირნათლად წუთისოფელს გამოესალმა.

აცხონოს ღმერთმა. - აგერ კიდევ ნუგეშს ვხედავ.

(შემოდის მაკდუფი. შუბზე მაკბეტის თავი აქვს აგებული)

მაკდუფი: იცოცხლე, მეფევ, დღეს შენა ხარ ხელმწიფე ჩვენი!

ჰხედავ, წყეულის მპარავის თავს, რა ყოფაშია?

თავისუფალს დროს ვეღირსენით. შენ გარს გარტყია

აწ სახელმწიფოს შვენება და ყველა თვის გულში

ამ სალამს ამბობს. მსურს, მათი ხმა შემომიერთონ

და შემოსძახონ: შოტლანდიის მეფევ, იცოცხლე!

ყველანი: იცოცხლე დიდხანს, ხელმწიფეო შოტლანდიისავ!

(საყვირის ხმა)

მალკოლმი: დროს ნუ დავკარგავთ. მსურს, რომ ყველას სამაგიერო

ერთგულეებისთვის გადგიხადოთ. დღეიდან თენო

და ნათესავნო, მოგვიცია თქვენთვის გრაფობა, -

შოტლანდიისთვის ახალია ესე ღირსება.

რაც დაგვრჩა კიდევ ჩვენის ქვეყნის აღსადგენელად:

ვით, დაბრუნება გარდახვეწილთ ჩვენთა მეგობართ,

რომელნიც ფხიზელ მტარვლის მახეს სხვაგან გაექცნენ;

ან განსჯა სასტიკ მოხელეთა, ხელქვეითთ ამა

მკვდარის ყასაბის და მის ეშმაკთ ტოლის დედოფლის,

რომელმაც ძალად თვისის ხელით მოიკლა თავი,

როგორც ჰფიქრობენ, ყოველს ამას და სხვასაც კიდევ,

რა საქმეც კი გვაქვს მონდობილი, ჩვენ შევასრულებთ

უფლის შეწევნით თავის დროსა და თავის ადგილს.

მადლობას გიძღვნით ყველას ერთად და სათითაოდ

და ჩვენს გვირგვინის კურთხევაზედ მიგიწვევთ სკონსა.

(საყვირის ხმა. გადიან)